619
1959

# დროშა

№ 12 დეკემბერი 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფერდობზე

ფოტო გ. თიკანაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (101) დეკემბერი, 1959 წ.

გამოცემის IX წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირში რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე სეკუ ტურე. 22-23 ნოემბერს სეკუ ტურე ესტუმრა თბილისს. მშრომელები სტუმართმოყვარედ შეხვდნენ შორეული აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის ხელმძღვანელს. სეკუ ტურემ და თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, დაესწრნენ ბალეტ „ოტელოს“ წარმოდგენას. 23 ნოემბერს სეკუ ტურე და თანმხლები პირები თბილისიდან ადლერში გაფრინდნენ.



ყრილობის წინა ვახტზე 2

ოთარ ჭელიძე
„დედულეთის მთვარე“ 3

მუგუძირხვა – საგურამო 4

კაგლოს ქარხნის მარკით 5

ვილაპარაკოთ რეკლამაზე 6

ი. ისაკოვი
„დეიდა პელოს ტყვე“ 7-15

მატჩი, რომელიც არასოდეს დამთავრდება 10-11

ატომის რეაქტორი მოქმედებს (ჩანართი)

ურთულეს უბანზე (ჩანართი)

თბილისში 25-26 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესია. სესიამ განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. დ. გოცირიძის და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენებები ჩვენი რესპუბლიკის 1960 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ეს გეგმა წარმოადგენს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის შვიდწლედის მეორე წლის საბრძოლო პროგრამას.

სესიამ მიიღო კანონი საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.



მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

# ყრილობის წინა ვახტზე



4



3

საქართველოს მშრომელები საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მძლავრი შრომითი აქტივობითა და წარმატებებით ხვდებიან.

წინასაყრილობო ვახტზე დგანან: სახელმოხვეჭილი ტყიბულელი მეშახტე შოთა კუბლაშვილი (4), თბილისის ელექტრომავალთა მშენებელი ქარხნის ხარატი გიორგი ლომსაძე, რომელიც საწარმოო დავალებას 250% ასრულებს (3), თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების" ამწყობ საამქროს ახალგაზრდა ამწყობი ზეინკალი ჯემალ ღამბაშიძე (2), რომელიც 220-250% ასრულებს გეგმას და თბილისის საორთქლმავლო დეპოს საინსტრუმენტო საამქროს უხუცესი ოსტატი ივანე გეგია (1). ივანე გეგია 45 წელია დაუღალავად შრომობს და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, არა მარტო 200-250%-ით ასრულებს ცვლის დავალებას, არამედ აქტიურად მონაწილეობს სარაციონალიზაციო მუშაობაში. მის მიერ კონსტრუირებული ამწეების გამოყენებამ მრავალი ათასი მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს.

# ბავშვობის მთვარე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ჭელიძე

გზაპნაწვიმარი
და უდროოდროს მამლის ყივილით
ძილგატეხილი, შეფითრებული,
ძველსაბძლიანი,
ტუჩებრძიანი ბალღის ღიმილით,
დამხვდა ღამეში ჩემი დედული.
მთვარეს უმზერდა
ავი ნაგაზი თავაზიანად,
იწვა ლაჯებში კუდამოჩრილი,
აღარ უყეფდა,
ალბათ, ჩასთვალა თავისიანად
მნათობი კაცის მონა მორჩილი.
ნუთუ ეს მთვარე
შარავანდედად შუქის მთოველი,
ვეებერთელა ქარვად ნაფენი,



ერთ დროს სიზმარი
ზღაპრის ბურუსში შეუცნობელი,
თანამგზავრია სხვა არაფერი?
და ჩემს მახლობლად
ყველა გუბეში იგი ჩვილივით
მევედრებოდა. შველას შემთხოვდა,
როგორც ბალღობა.
მომანიშნებდა ხვეწნით, ჩივილით
ნუგეში ულვთოდ შეყვარებულთა.
ბევრჯერ გულწრფელად
შემცოდებია მნათი გუბეში,
წავტანებივარ მკლავებგაშლილი
და მოუთმენლად
რარიგ მეწადა ჩემს თბილ უბეში
გამომემწყვდია მთვარე ვაშლივით.
მაგრამ მთოვარე
ხეს აწყდებოდა ყვითელ ბურთივით,
თან მივყვებოდი ქანცმილეული
ბალღი მთრთოლვარე,
მისი დაჭერის წრფელი სურვილით
ჩამოკაწრული, გაწბილებული,
ბოლოს შემცირდა,
ჩვენს შორის ჩადგა მცირე მანძილი,
რაც მას პირველი ცეცხლით მივენდე.



დედამიწიდან
და ბავშვობიდან მისკენ გაწვდილი
ხელი გრძელდება ზეცის კიდემდე.
მინდა გავათბო,
ვისთვისაც ფეხის ადგმა გავბედე,
ვინც ღამეებში გზა გამინათა,
ვინც უანგაროდ
წმინდა აკვნიდან შავ სამარემდე
თანამგზავრია ადამიანთა.
სწორედ ის იყო
ჩემი პირველი თვალის გახელის,
ჩემი ტირილის მესაიდუმლე.
რად დავივიწყო
ის რაც სიმრწემეს მისდევს გაფრენილს,
ის რაც ოცნებით ვერ დავიბრუნე.
თან მდევს ერთგული,
ჩამოღლილს მაღალ მთაზე მიმყვება,
როგორც პირუტყვი გზაზე მაცილებს.
გაფითრებული
მწვანე მიწაზე ფიქრით იღლება
მმატებს ოცნებას და სიყმაწვილეს.
ჩემი სიმკვირცხლე
მისით ივიძებს, იწვის ნუგეშით
და სიყვარულის ღელვაც ბრუნდება,
ვერ დავივიწყებ,
ვინც წამიძღვება ცის სილურჯეში
და შემაერთებს დედა ბუნებას.





ო, მთვარე, მთვარე,
შარავანდედად შუქის მთოველი,
ვეებერთელა ქარვად ნაფერი,
ერთ დროს სიზმარი,
რაღაც ზღაპრული, მიუწდომელი,
ჩემებრ მგზავრია სხვა არაფერი?...
იგი სიყრმეში
ხან დამილანდავს ღამის მეგზურად,
ხან მგონებია ღამის მეხრეა,
ხან თბილ ზვინებში
დედასპურივით, ერთად მწყემსურად
ღამე მტკვრის პირას გაგვიტეხია.
როცა მეგონა
მნათი ნებივრად იწვა ნისლებში,

როცა პირველი ხვევნა მაღირსა
ერთმა გოგონამ,
ჩემს დამაჭრებულ სიჭაბუკეში...
მაშინაც მომწვდა მზერა მთვარისა.
თავს დამცქეროდა
მთოვარე, როგორც უტყვი მოწამე,
თეთრ შუქს მახებდა მხრებზე ხელივით.
მისი მრცხვენოდა
და ვწითლდებოდი მწყემსი მოსწავლე
გულთან განასკვულ ყელსახვევივით.
ჩქარო თბომავლით,
თუ მზის სხივივით სწრაფი რაკეტით,
სად არ გავჩნდები, სად არ მოგორავს,
როგორც ბორბალი.
მთვარე მიმყვება ღრუბლის ნაფლეთით,
არ მაგრძნობინებს არსად ობლობას.
ცისფერ ელმავალს
შეუჩერებლად მოსდევს სერისერ,
ყველა სადგურში მხვდება ღიმილით.
თვალი ელვარე
ხან გზას გამიხსნის, როგორც მეისრე,
ხან ხის ტოტიდან წყდება ხილივით.
ამ მთვარესავით
არც მეგობარი უახლოესი,
არც ლანდი გვერდით მოსიარულე,
არც ნათესავი,
არც ახლობელი, არცა მოყვასი
არ არის ჩემი მოსიყვარულე.
ნუთუ მთვარეა
თან რომ მიმყვება ფრენით შორიდან.
შუქის ბრიალით წვდება კაბადონს?
ეგებ თვალია
განსვენებული ჩემი მშობლისა,
მიმზერს, იქნება სევდა გამანდოს?..
მრავალ ქალაქში
მოსულა მთვარე დედულეთისა,
როგორც პირბადრი, წმინდა ასული...
ალბათ, საფლავშიც
მომხედავს ნიშნად ერთგულებისა,
რომ გამინათოს გზის დასასრული.



# მუგუძირხვა — საგურამო

მუგუძირხვა აფხაზური სოფელია გუდაუთის რაიონში. იგი მაღალ გორებზეა შეფენილი, ზღვიდან სამიოდე კილომეტრითაა დაშორებული და ზემოდან გადმოჰყურებს ეგრეთწოდებულ „ოქროს ნაპირს“ და თეთრად მოლივლივე დასასვენებელ სახლებს. სოფლის უკან, თითქოს ერთ ნაბიჯზე, ნისლში გახვეული მთის გრეხილები გადაჯაჭვულან, კიდევ იქით თეთრად მოელვარე ბუმბერაზებს თავი ცისთვის მიურტყამთ. კავკასიონის ქვემო კალთები ლილისფერი ტყეებითაა გადაბურული და ლურჯად მოქათქათე ზღვის ანარეკლს მოგაგონებთ. უფრო მაღალ ზონაში კი ალპურ საძოვრებს ჯოგი შესევია და ზურმუხტისფერი ფერდები აუჭრელებია. სანაპიროს ამ შორეულმა სოფელმა დიდი ხანია მეგობრობის მტკიცე ძაფები გააბა მცხეთის რაიონის სოფ. საგურამოს კოლმეურნეებთან. 1956 წლიდან მუგუძირხვასა და საგურამოს შორის სოციალისტური შეჯიბრებაა გაჩაღებული. ჩვენც სწორედ ამიტომ ვიმყოფებით აქ სტუმრად.

ავტომანქანა მიჰქრის „ოქროს სანაპიროზე“. საჭესთან ზის მუგუძირხვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსი ბესლანძე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია ალექსი. მხარბეჭიან ვაჟკაცს ოდნავ შეჭაღარავებული ქოჩორი ბუჩქივით ადგას თავზე. მეორე დღეა მუგუძირხვაში ასე დავქრით. სოფელი რამდენიმე კილომეტრზეა გადაშლილი და, თუ არა ეს მოკირწყლული გზები, ასე ადვილად ვერც შემოვუვლიდით. ალექსი ბესლანძე გულდასმით მაცნობს კოლმეურნეობას. სოფელში 237 კომლია, ყველა კოლმეურნეობის წევრია, სულ თერთმეტი ბრიგადაა, ამათგან ერთში მეცხოველეები არიან გაერთიანებული. ერთშიც — მებოსტნეები, დანარჩენში — მემინდვრეები, უმთავრესად — მეთამბაქოები. შემოსავლის ძირითადი წყარო აქ თამბაქოა. ეს კულტურა 72 ჰექტარზეა გაშენებული.

წამდაუწუმ ვჩერდებით ხან ერთ ნაკვეთთან, ხან მეორესთან. მზით გაშავებულ სახეზე ღიმილი დასთამაშებს ალექსის.

— შეხედეთ, რა კარგი მოსავალია! საგურამოელებთან, მგონი, არ შევრცხვებით.

ნელა მივაბიჯებთ მწკრივებს შორის. ფოთლებით დაყურსულან ღეროები, ვარდისფერ ქოჩრებს პწუილით ეხვევა ფუტკარი. ვეება ფარდულიდან გასაშრობად ძაფებზე ასხმული თამბაქოს სურნელი მოაქვს ნიავს. ჰაერი ამ დამათრობელი სურნელითაა გაჟღენთილი.

ალექსი ბესლანძე და დავით ბედუკაძე.

აი, სოფლის ყველაზე მაღალ გორაზე ვართ, ასწლოვანი მწვანე მუხის ქვეშ ჩრდილში ვზივართ და მზით გაჩახჩახებულ მუგუძირხვას დავყურებთ, აქ კოლმეურნეობის კანტორაა. სწორედ ამ მუხის ქვეშ ჰქონდათ შეხვედრა ორი სოფლის მშრომელებს, როცა საგურამოელები სტუმრად ჩამოვიდნენ და მასპინძლებს ყოველი აფხაზისათვის სანუკვარი ლაფშები საჩუქრად ჩამოუყვანეს. მოგეცათ ლხენა ამ მწვანე შინდორს იმ დღეს ჯირითით ბული ადინეს...

მოეწონათ საჩუქარი მუგუძირხველებს და ვალში არ დარჩენილან. აფხაზმა მეგობრებმა ათი ბუკი ფუტკარი და ფურ-კამეჩი თავისი ზაქით ჩაიყვანეს საგურამოში. იქაურ თავმჯდომარისათვის აფხაზურად გაწყობილი ფაფახი და ვერცხლის სერვიზი კიდევ სხვა იყო. ხეზე მშვენივრად ამოჭრილი ილიას ძვირფასი პორტრეტი მიუძღვნეს მწერლის სახლ-მუზეუმს.

— ჩვენ ვნახეთ მცხეთა, დავათვალიერეთ სვეტიცხოველი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ქართული ხუროთმოძღვრების ამ უდიდესმა ძეგლმა, — მოგვითხრობს ბესლანძე, — მერე ვიყავით წიწამურში, ვეწვიეთ სახელმოხვეჭილ მეყვავილეს მამულაშვილს, და ახლა ბევრ მის მიერ გამოზრდილ ყვავილს მუგუძირხვაში ვაშენებთ. დეე, ჩვენი ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოდ გაიხარონ იმათ აქ.

— საჩუქრები ძალიან კარგია, — ვეუბნები მე, — მაგრამ შეჯიბრება როგორ მიმდინარეობს?

ბესლანძემ სიცილით მიპასუხა:

— საჩუქრები, როგორც წესია, თავის ადგილზეა საჭირო, შეჯიბრებაში კი ჩვენ არავის არაფერს დავუთმობთ. ის თავისი გზით მიდის და სულ უფრო მწვავე და მწვავე ხასიათს ღებულობს.

გაზაფხულზე საგურამოელებმა თავიანთი პირობები მუგუძირხვაში გამოგზავნეს. 418 ჰექტარზე იმათ საშუალოდ ჰექტარიდან ათი ცენტნერი მარცვლეულის მიღება იკისრეს, თანაც სიმინდის მოსავალი ოც ცენტნერამდე უნდა გაზარდონ, ყურძნისა 45 ცენტნერამდე, ხოლო ბოსტნეულისა 135-მდე, 10 ჰექტარზე ახალი ვენახი უნდა ჩაყარონ, ოთხ ჰექტარზე ხეხილის ბაღი უნდა გააშენონ, საგურამოელები პირობას იძლევიან მეწველ ძროხებს 160 სულამდე აიყვანენ, თითოეული ძროხიდან 1.200 ლიტრ რძეს მოწველავენ, საშუალოდ 80 კილოგრამის წონის 140 ღორს ჩააბარებენ სახელმწიფოს. 750 ქათამს გამოზრდიან და თვითეულისაგან ას კვერცხზე მეტს მიიღებენ.

როცა კოლმეურნეთა საერთო კრებაზე სოცშეჯიბრების ეს პირობები განიხილეს, გაიმართა ცხარე კამათი. მუგუძირხველებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს. პირველად სიტყვა აიღო საშა აგრბამ.

— ჩემმა ოჯახმა გასულ წელს 782 შრომადღე გამოიმუშავა და ნახევარი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 1.065 კილოგრამი თამბაქო ჩავაბარეთ. ფულად თექვსმეტი ათასი მანეთი გვერგო, სამ ტონამდე სიმინდიც მივიღეთ. საგურამოელთა გამოწვევის საპასუხოდ ვკისრულობ წელს ათას შრომადღეზე მეტი გამოვიმუშავო.

შემდეგ სიტყვა აიღო ათანასე ქიბამ:

— შარშან სამასის ნაცვლად 615 კილოგრამი თამბაქო მოვიწიე. მიმდინარე წელს ასი კილოგრამით გადავაჭარბებ გასული წლის მოსავალს. საგურამოელებს სიხარულით შევეჯიბრები და არც შევრცხვები.

სახელოვანმა მეთამბაქოებმა სიმონ და იოსებ დბარებმა, რომელთაც შარშან ტონის ნაცვლად ორი ტონა თამბაქო ჩააბარეს, სიტყვაში გამოსულებს მხარი დაუჭირეს და ახალი ვალდებულებები იკისრეს.

აგრონომმა დ. ქიბამ, ფერმის გამგემ დ. ჰკოტუამ, ბრიგადირებმა ვლადიმერ გუბაზმა, რუმა ძიაპშპამ და სხვებმა თავიანთი შესაძლებლობანი ასწონ-დასწონეს და უკვე დასახული გეგმები ერთხელ კიდევ გადასინჯეს. ყველაფერი რომ შეაჯამეს მუგუძირხველებმა, პასუხი მერე გასცეს მეგობრებს.

— ჩვენ ჩვენის მხრივ გადავწყვიტეთ, — წერენ ისინი, თავიანთ წერილში, — 72 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ასი ტონა თამბაქო ჩავაბაროთ, სიმინდის მოსავალი ჰექტარზე 25 ცენტნერამდე გავზარდოთ, ხოლო ყურძნისა 50 ცენტნერამდე. თვითეული ძროხისაგან ტონა რძე ჩამოვწველოთ და სახელოვნად შევხვდეთ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

... რაკი ორივე მხარემ ვალდებულება იკისრა, ის, უეჭველად, უნდა შესრულდეს კიდეც. ხვალ მუგუძირხველები ისევ მიემგზავრებიან საგურამოში. ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ, ნახავენ და შეამოწმებენ. სწორედ ამ სამზადისისა და გამგზავრების ფაციფუცში მოვხვდით აქ.

კანტორის წინ, მუხის ჩრდილში, სამხრობისას ფიცხელი თათბირი გაიმართა. საწარმოო მაჩვენებლებს ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ და აჯამებდნენ. თავს ყველა კმაყოფილად გრძნობდა, კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ. უჩვეულო ხმაური იყო. თავიანთ დელეგატებს მუგუძირხველები ათას რამეს აბარებდნენ საგურამოში. ყველაზე ბოლოს ალექსი ბესლანძის 68 წლის მამა, ახმეტი, წამოდგა და მეზობლებს ხელით ანიშნა, სიჩუმე იყოსო, ყველამ მისკენ რომ მოიხედა, მოხუცმა ჭალარა წვერზე გადისვა ხელი და ეს თქვა:

— ყმაწვილებო, ნუღარ აჩქარდებით. ჯერ თქვენ არ იცით, იმათ როგორი მიღწევები აქვთ. ვინიცობაა, სასწორი ოდნავ ჩვენსკენ გადმოიხაროს, თავს ამაყად ნუ დაიჭერთ. მე მგონია, ჩვენი შეჯიბრებიდან ორივე კოლმეურნეობა მოგებული გამოდის. ის საერთო მიღწევები, რაც უკვე მოვიპოვეთ, ქართველთა და აფხაზთა ურყევი ძმობის მაჩვენებელიც არის. იქაურ თავმჯდომარეს, დავით ბედუკაძეს, ჩემი სალამი გადაეცით და იცოდეთ, არ დაგავიწყდეთ, ასე უთხარით, წლის ბოლოს ისევ ველი ჩემს სახლში სტუმრად.

ჩამობრძანდნენ, საგურამოელებს საკუთარ შვილებივით მივიღებთ.

**მოსე გვასალია.**



# კაბელის ქარხანა ბრატისლავაში

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ამწე განუწყვეტლივ ტვირთავს ვაგონებში კაბელიან დოლურებს. დანიშნულების სადგურია — ჩეხოსლოვაკიის ყველა კუთხე და ათობით ქალაქი საზღვარგარეთ.**

## ანდრეი პუტრა*

თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იცნობენ ნაკეთობას წარწერით „გაკეთებულია ჩეხოსლოვაკიაში“. მათ შორის ცნობილია ნაკეთობანი წრეშემოვლებული სამხივიანი ვარსკვლავისებური მარკით. სპეციალისტებმა იციან, რომ ასეთი შესახედავია ძალური კაბელის ჭრილი. ესაა ბრატისლავის ქარხანა კაბლოს მარკა, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს საბჭოთა კავშირსა და არგენტინაში, ისლანდიასა და პაკისტანში, თურქეთში, ჩრდილო კორეაში და ათობით სხვა ქვეყანაში.

იმის შესახებ, თუ როგორ შრომობენ კაბლოს ქარხნის მუშები, მეტყველებს საპატიო დაფა შესასვლელთან: „ქარხანა დაჯილდოებულია რესპუბლიკის ორდენით.“ შენობაში შესვლისას დაინახავთ კედლებზე ჩამოკიდებულ მრავალ ჯილდოსა და დიპლომს. უკანასკნელი, ახლახან მიღებული დიპლომის ჩამოკიდება ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ: ესაა მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს დიპლომი კაბლოს ქარხნის მიერ საექსპორტოდ გამოშვებული საუცხოო ნაკეთობებისათვის. დიპლომთან ერთად კაბლოველებმა მიიღეს პრემია 35 ათასი კრონის რაოდენობით.

აქ ამზადებენ კაბელებს არა მარტო საექსპორტოდ, არამედ რესპუბლიკის საჭიროებისათვის. ნაკეთობათა ასორტიმენტი საკმაოდ ნაირფეროვანია. ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაინახავთ მავთულების გროვას და წვრილ-წვრილ, მკლავის სიმსხო კაბელებით დახვეულ დოლურებს. ესაა ძალოვანი კაბელი ელექტროენერგიის გადასაცემად. ქარხნის საამქროებში შეხვდებით სატელეფონო კაბელებსაც და კაბელებს სამედიცინო აპარატებისთვისაც...

კაბელი, სულ კაბელი, ათასობით მეტრი კაბელი. უნებურად გახდებით ცნობისმოყვარე — რამდენ კაბელს ამზადებენ აქ?

ინჟინერმა უგრიკმა და ამხანაგმა ქილკამ რამდენიმე წამში გამოიანგარიშეს:

— ყოველთვიურად ვუშვებთ, დაახლოებით, 250 კილომეტრ მარტოოდენ ძალოვან კაბელს. და თუ შევაერთებთ გათავისუფლების დღიდან ჩვენს მიერ დამზადებულ კაბელს, იგი შემოწვდებოდა ეკვატორს, რომლის სიგრძეც 42.000 კილომეტრია.

საუცხოო რამაა კაბელი პვც-ი.

მუშებთან სასაუბროდ შევდივართ საამქროებში. პროცესი იწყება სხვადასხვა დიამეტრის სიგრძე მავთულად სპილენძის გადამუშავებით. შემდეგ მას აკრავენ იზოლაციას და გრეხენ კაბელად, გააიზოლირებენ წყალგაუმტარი ქაღალდითა და კალით, შემდეგ გამოცდიან მაღალი ძაბვის ხაზზე და შეიძლება თქმა: მზადაა! ნაკეთობა მზადაა საექსპლოატაციოდ.

ნომერ მე-2 საამქროში ვხედავთ საინტერესო ამბებს: აქ მზა კაბელს აიზოლირებენ წყალგაუმტარი ქაღალდით კი არა, არამედ პლასტიკური მასით პვც-ით. ეს კაბელები გათვალისწინებულია მშრალი პირობებისათვის და როგორც ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, სახელიც გაითქვეს.

— ეს კაბელი 100 წელიწადს გაძლებს, იგი გაუცვეთავი მასალისგანაა დამზადებულიო, — ლაპარაკობენ მუშები.

— ეს კაბელი შეიძლება დამონტაჟდეს ვერტიკალურ მდგომარეობაშიც. და ამ დროს იზოლაცია ქვემოთ არ ჩამოეშვება, როგორც ეს ხდება ხანდახან ქაღალდითა და კალით გაკეთებული იზოლაციის დროს, რასაც წყობიდან გამოჰყავს კაბელი, — გვეუბნებიან სპეციალისტები.

— ახლა ტარდება ცდა, შეიძლება თუ არა ამ ახალი კაბელის გაყვანა მიწის ქვეშ... ცხადია, რომ ახალ პვც-ს დიდი მომავალი აქვს.

ეს გასაგებია! ის უფრო მაღალხარისხიანი, მჩატე და იაფია. ხოლო სამეურნეო თვალსაზრისით — ძნელია კალის უდიდესი ეკონომიის შეფასება.

რაციონალიზატორებმა მარტინიმ და კუცმა მართლაც უდიდესი მუშაობა ჩაატარეს ამ ახალი წესის შემოსაღებად. ხოლო ყველაზე მთავარია ის, რომ ახალი პროდუქცია — პვც-ით იზოლირებული კაბელი სერიულად მზადდება და გადაეცემა მრავალრიცხოვან შემკვეთლებს.

უმაღლესი ხარისხი შრომის ნაყოფიერების მუდმივი ზრდით — ასეთია კაბლოელთა და, უწინარეს ყოვლისა, „სოციალისტურ შრომის ბრიგადის“ წოდების მოსაპოვებლად შეჯიბრებაში ჩაბმული კოლექტივების ლოზუნგი. ჯერ-ჯერობით ასეთი კოლექტივი შვიდია. პირველობა უჭირავს ამხანაგ სრნკას ბრიგადას. იგი მომსახურებას უწევს თითქმის 4 მეტრი სიმაღლის წნეხს, სადაც კაბელი ღებულობს კალის იზოლაციას. ისე, როგორც ყველგან, ნამუშევარის ხარისხი დამოკიდებულია სპეციალურ ცოდნასა და კეთილსინდისიერ მუშაობაზე. ამიტომ ბრიგადის წევრები, უწინარეს ყოვლისა, ცდილობენ აიმაღლონ კვალიფიკაცია. წარმატების საიდუმლოება — უმცირესი დეტალების მიხედვით პროცესის დაუფლებაა. მაგალითად, მათ მუშაობაში დაცულ უნდა იქნას დაწესებული კაბელის სიდიდე ერთი მილიმეტრის სიზუსტით. რა ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მზრუნველობით და ყურადღებით უნდა მოვმართოთ წნეხი, შევამოწმოთ იგი და თვალყური ვადევნოთ მის პროცესებს.

ამასთან, კაბელის სისქე ხშირად იცვლება. შეკვეთის მიხედვით მზადდება ნეკისოდენა ანდა მავთულის სიმსხო კაბელი. წნეხის ახლოს მაგიდაზე აწყვია სხვადასხვა ყალიბის მატრიცები, მათგან ბრიგადის წევრები იყენებენ ხან ერთსა და ხან მეორეს, მათ გამოიჩინეს მაღალი ოსტატობა ამ საქმეში და თავიანთი ვალდებულების თანახმად, ახლა შეუძლიათ უკონტროლოროდ მუშაობა: თვითონვე უზრუნველყოფენ და ადევნებენ თვალყურს პროდუქციის ხარისხს.

**აქ აიზოლირებენ კაბელის ბირთვს. შტეფან პოსპეშილი თვალყურს ადევნებს დაზგის მუშაობას.**



---

* ანდრეი პუტრა არის სლოვაკური ჟურნალის „სვეტ სოციალიზმუს“ მთავარი რედაქტორი. იგი სტუმრად იყო საქართველოში. წერილი დაწერილია სპეციალურად ჟურნ. „დროშისათვის“ (რედ.).

# ვილაპარაკოთ რეკლამაზე

ვილაპარაკოთ რეკლამაზე და შევთანხმდეთ, რომ ამ სიტყვის ლათინური მნიშვნელობა **reclamare** ყვირილი — ჩვენთვის მიუღებელია. თუ ყვირილია, უნდა ვიყვიროთ იმის შესახებ, რომ რეკლამის საქმე ცუდად გვაქვს დაყენებული. ეს გარემოება განსაკუთრებით შესამჩნევია უკანასკნელ ხანს, როცა ამ დარგში გარდატეხა მოხდა — რეკლამას ყურადღება მიაქციეს, იგი საჭირო გახდა. აი, ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ მის შესახებ.



### ეს კონკრეტულია

**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატის რეკლამბიუროს ხელმძღვანელი სიკო ვადაჭკორია:**

უცნაურად ჩანს დღეს მოწოდება: „შეიძინეთ და იკითხეთ წიგნები. წიგნი — ცოდნის წყაროა“. დიდი, მანათობელი ასოებით შედგენილი ასეთი რეკლამები ჯერ კიდევ „ამშვენებენ“ ჩვენს ქალაქს. სხვა საქმეა, თუ ნეონის „ტალღებით“ დარწეული ნავი მოგვაგონებს ხოლმე, რომ ქალაქის სიახლოვეს შექმნილია ახალი „ზღვა“ და კვირა დღეს ცუდი არ იქნებოდა მის სანაპიროებისაკენ გასეირნება. ეს კონკრეტული წინადადებაა. უფრო კონკრეტულია სარეკლამო ჟურნალი, რომელმაც წელს დაიწყო გამოსვლა. ქალაქის თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების ორკვირეული რეპერტუარის გარდა, ჟურნალში მოთავსებულია მომავალი კინო-ფილმების შინაარსი, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ხელოვნების ახალი ამბები, გასაყიდად გამოსული ახალი წიგნების ნუსხა, ჟურნალი იბეჭდება ქართულ და რუსულ ენებზე და წინასწარ აცნობებს მოსახლეობას, თუ სად, როდის და როგორი სულიერი საზრდო მზადდება მისთვის.

### ვინ არის მართალი?

**თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი პავლე კილასონია:**

ჩემის აზრით, კარგ რეკლამას მაღაზიას კარგი საქონელი უქმნის. ცნობილია, რომ საქონელს საწარმოდან დახლამდე სამჯერ ამოწმებენ — საწარმოს ტექგანყოფილების კონტროლი, სავაჭრო ბაზის საქონელთმცოდნე და მაღაზიის საქონელთმცოდნე. ჩვენ მეოთხე შემოწმებაც შემოვიღეთ. სანამ მომხმარებელს გადასცემდეს, საქონელს ამოწმებს გამყიდველი. ჩვენ არ გვინდა ვიმუშაოთ ძველი ანდაზის მიხედვით — „თუ არ მოატყუებ, ვერ გაყიდი“, სამწუხაროდ. ხანდახან იძულებული ვართ უკან გავაბრუნოთ პროდუქცია. ჩვენ სერიოზული კონფლიქტიც კი მოგვივიდა გორის საფეიქრო ფაბრიკასთან. იქ დამზადებული ქსოვილები არ იყიდებოდა და ჩვენ იძულებული შევიქენით კავშირი დაგვემყარებინა ქალაქ ივანოვოს კომბინატთან. ჩამოვიდა მათი წარმომადგენელი, მოაწყო გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენ გავწყვიტეთ ხელშეკრულება გორელებთან და მთელი ფონდები ივანოვოს ფაბრიკას გადავეცით.

გორელები თვლიან, რომ ჩვენ არაამხანაგურად მოვექეცით, რომ ისინი ჯერ ვერ გაუტოლდებიან ივანოვოს გამოცდილ მუშებს, და თუ დროს მივცემთ, ისინიც გამოაკეთებენ პროდუქციის ხარისხს. ეს მართალია, მაგრამ რა შუაშია მყიდველი, რომელიც თავის შრომით მოპოვებულ მანეთს იხდის საქონელში?



### აღვზარდოთ დეკორატორები

**ვიტრინების დეკორატორი, მხატვარი ალექსანდრე თანდოევი:**

მე სპეციალური განათლება არ მიმიღია, მაგრამ დიდი ხნის გამოცდილება მაქვს ვიტრინების გაფორმების საქმეში. ჩემი ახალგაზრდა კოლეგების უმრავლესობა, რომლებიც ქალაქვაჭრობის რეკლამებზე მუშაობენ, მხატვრები არიან, მაგრამ მათ არ იციან ვიტრინის გაფორმება. მაღაზიათა რაოდენობა იზრდება, ვაჭრობის კულტურა მაღლდება, მაგრამ ვიტრინების გამოცდილ გამფორმებლებს ვერსად იპოვნით. რა ღონეს მივმართოთ? საჭიროა, სამხატვრო აკადემიაში ან ვაჭრობის ინსტიტუტში გაიხსნას გამოყენებითი დეკორატიული ხელოვნების განყოფილება. ვიტრინას, მაღაზიის შიდა მორთულობას, საქონლის შეფუთვას, პროფესიული ცოდნა სჭირდება.

### პატარა ეტიკეტის ოდისეა

**თბილისის კონიაკის ქარხნის დირექტორი თეიმურაზ ფურცელაძე:**

ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ჩვენი ქარხნის კონიაკებმა 10 ოქროსა და ვერცხლის მედალი მიიღეს საერთაშორისო გამოფენებზე. ეს დიდი შეფასება უფლებას არ გვაძლევს თვალები დავხუჭოთ და არ დავინახოთ ჩვენი კონიაკების ცუდი გარეგნული გაფორმება. უმეტეს შემთხვევაში, ეტიკეტები უგემოვნოდ არის შესრულებული. უბედურება ის კი არ არის, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ ეტიკეტებზე. პირიქით, გაცილებით მეტს ვფიქრობთ, ვიდრე საჭიროა. ორი წლის მანძილზე „საქსურსათგაფორმებას“ ვერ მოუხერხებია ჩვენი საუკეთესო კონიაკის, „ენისელის“ ახალი ეტიკეტის დამზადება. სანამ ეტიკეტი დღის სინათლეს იხილავდეს, მას ათჯერ და ასჯერ სინჯავენ, ამოწმებენ, ასწორებენ სხვადასხვა ინსტანციებში. გრძელსა და ეკლიან გზას გადის ეს პატარა კვადრატული ქაღალდი.

განა უფრო მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რომ ეტიკეტის ბედი თვით ქარხნებისათვის მიენდოთ?

### ყურადღება აფიშებს!

**აფიშების გამკვრელი ნიკოლოზ ნალბანდიანი:**

მამაჩემი 50 წლის განმავლობაში აკრავდა თეატრალურ აფიშებს ქალაქში. მე კი ამ საქმეს 30 წელია ვემსახურები, ახლა უკვე შვილიც მეხმარება. ეს პროფესია ტრადიციული გახდა ჩვენი ოჯახისათვის. ქალაქში თანდათან მატულობს თეატრთა რიც-


ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვი, საკონცერტო დარბაზები და სპორტული მოედნები. არის დღე, როცა ხუთასამდე აფიშას გააკრავ ქუჩებში. საერთოდ კი, ალბათ, მილიონ აფიშას მაინც გაუვლია ჩვენს ხელში. რომ არც გინდოდეს მაინც გამოგიმუშავდება გემოვნება, ისწავლი, როგორი უნდა იყოს კარგი და მიმზიდველი აფიშა.

მაგრამ ხანდახან შეგხვდება ისეთი, რომ ხელი გიშეშდება მისი გაკვრისას. ტყუილი შრომაა, ფიქრობ შენთვის. არავინ არ შეამჩნევს მას, არავინ წაიკითხავს. არის ბევრი სამწუხარო „წვრილმანი“, რომელსაც ვამჩნევთ ჩვენ — აფიშის გამკვრელები. კარგი იქნებოდა, სანახაობათა დაწესებულების ხელმძღვანელებმა ხანდახან ჩვენც გვკითხონ რჩევა.

### სპორტული რეკლამის შესახებ

**ფეხბურთის გულშემატკივარი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვახტანგ ბერულავა:**

ამ პატარა წიგნაკის სათაურია: „ფეხბურთი. სსრკ-ს პირველობა. 1959“. რა გინდა, რომ არ ეწეროს ამ წიგნში. 21-ე პირველობისა და გასული ჩემპიონატის შესახებ, დუბლშემადგენლობათა და „ახალბედათა“ შესახებ, ყოველგვარი რეკორდებისა და სპორტული კურიოზების ფაქტები. ამ წიგნიდან ვაიგებ, მაგალითად, რომ თბილისის „დინამო“ გასული ჩემპიონატების მანძილზე მეოთხე ადგილზეა გატანილი ბურთების რაოდენობით, რომ ბორის პაიჭაძეს 20 წლის განმავლობაში არც ერთი შენიშვნა არ მიუღია მსაჯისაგან... ერთი სიტყვით, ამ წიგნში ბევრი საინტერესო ცნობა ამოვიკითხე. მაგრამ საწყენი ის არის, რომ წიგნი სტადიონზე არ შემიძენია, უფრო მეტიც იგი თბილისში კი არა, მინსკშია გამოცემული. მინსკელებმა იზრუნეს ასე გულმოდგინედ თავიანთი ფეხბურთის მოყვარულების ინტერესთა დასაკმაყოფილებლად. თბილისში კი ამაზე არც უფიქრიათ.

**ია მესხი**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







თბილისის ახლოს პირველი ქართული რეაქტორის ამუშავება საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მეცნიერების ახალი დიდი გამარჯვებაა. საკვლევაძიებო ატომური რეაქტორი საშუალებას მისცემს ქართველ და მთელი ამიერკავკასიის მეცნიერებს კვლევა-ძიება აწარმოონ და კიდევ უფრო გააფართოონ ატომის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლურჯი ძაღლის ტყვე

იოანე ისაკოვი

მოთხრობა

მხატ. ა. ბანძელაძე

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ი. ს. ისაკოვი მკურნალობდა თბილისის ერთ-ერთ ჰოსპიტალში. ქვემოთ ვათავსებთ მის მოთხრობას, რომელიც აგებულია ნამდვილად მომხდარ ამბავზე. მოთხრობა დაწერილია თბილისში 1943 წელს. მოთხრობა დაბეჭდილია ჟურნალ «სოვეტსკი მორიაკის» 1959 წლის № 18-ში.

— კეთილი, ეშლენბურგ, გაგიშვებთ მაიკოპში სალამომდის, — წარმოთქვა პოლკის უფროსმა, — მაგრამ იცოდეთ: თუ ტუაფსეზე დილით თავდასხმისათვის დაგვიანება გინებებიათ, თორმეტი ექიმის ცნობაც კი ველარ გიშველით.

უკანასკნელ შენიშვნაზე პოლკის ექიმს ხელიდან ჩანგალი გაუვარდა და მაგიდის ქვეშ დაუწყო მას ძებნა.

— თანაც, გაძლევთ ჩემს „შტიგლიცს“. მაგრამ თუ მას სადმე ერთი ნაფხაჭნი მაინც ექნება, მაშინ, ეშლენბურგ, საჯარიმო ბატალიონში გიკრავთ თავს. ხომ გესმით?

— გასაგებია, ბატონო მაიორო. ყველაფერი რიგზე იქნება.

— შონგოფ! დაამზადეთ განაცხადი გაფრენისათვის და, ბარემ... აუხსენით უფროს ლეიტენანტს, სადა აქვს „შტიგლიცს“ კუდი და სად ძრავი!

პოლკის მეთაურის უკანასკნელი სიტყვები საერთო ხარხარმა დაჩფარა.

სავარძელში გაშხლართული მეთაურის წინ გამოჭიმული აულაყუდა მფრინავის სახე წითელი ლაქებით დაიწინწკლა. მას ოდნავ უთრთოდა ხელები, რომელშიც ქუდი ეჭირა.

— ხომ არ ისურვებთ, ბატონებო, თვითეულ წუთობით ჩამოგითვალოთ, თუ რას გააკეთებს ეშლენბურგი კორპუსის შტაბში! იგი ჯერ იპოვნის ისეთივე კენიგსბერგელ ასს-ებს, როგორიც თვითონაა, შემდეგ ორიოდე საათს მოუთხრობს მათ, თუ რა საშინელი წესებია ჩვენს პოლკში — ჩირქს მოგვცხებს და სახელს გაგვიტეხს; ამის შემდეგ ბილიარდის თამაშისას გაიბერება შტაბის ჭორებით და, ბოლოს, დარდიან გულზე გადაჰკრავს ერთ სათითურ კონიაკს (მეტის დალევას არც ვურჩევდი!), და უკანვე გამოფრინდება. ხომ სწორს ვამბობ?

— რასაკვირველია!

— მხოლოდ ამაოდ აძლევთ წასვლის ნებას ამ შტაბის პარკეტზე მოფლატუნეს.

— ეს უკვე თქვენი ჭკუის საქმე აღარაა! შეგიძლიათ წაბრძანდეთ, ეშლენბურგ!

სახეალეწილი მფრინავი ბარონი ეშლენბურგი პოლკის ადიუტანტ კაპიტან შონგოფთან ერთად გამოვიდა სტანიცა ხადიჟენსკაიას ყოფილი სკოლიდან, რომელიც „იუ-87“ პოლკის ოფიცერთა საკრებულოდ იყო გადაქცეული. კაპიტანმა შემარიგებლად წაჰკრა ხელი მხარზე სიბრაზისაგან ჯერ ისევ გაოგნებულ ბარონს და დამამშვიდებლად უთხრა:

— არაფერია, მთავარი ხაწადელი უკვე აისრულე! ახლა გავიგოთ ამინდის ამბავი. ჩაფრინდი კორპუსში, ნახე ადამიანები. ითამაშე ბილიარდი. მაიორი დამემუქრა, სულს ამოგხდი, თუ საუკეთესო ბილიარდს არ მიშოვნიო. აბა, სად უნდა გამოვნახო?

ორი საათის შემდეგ მაიკოპმა დაადასტურა ეშლენბურგის ჩაფრენა, მაგრამ ადიუტანტმა როდი მოახსენა ასეთი უბრალო რამ პოლკის მეთაურს, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი გვარიანად იყო გამობრუჟული.

უცნაურმა შინაგანმა თრთოლვამ, რაღაცნაირმა ნერვულმა ვიბრაციამ, შეიპყრო დღეს ბარონ ეშლენბურგ ცუ-განდშეიმი, რაც, საბედნიეროდ, სავსებით შეუმჩნეველი იყო გარეგნულად, — ასე ემართებოდა ყოველთვის, მაშინაც კი, როცა ის ლაყბობდა თავის მეგობრებთან, ბილიარდის თამაშისას ან პოლკის საკომანდო პუნქტის მორიგესთან საუბრის დროს. ის იყო სასურველი მეინახე და თანამოსაუბრე, როგორც ყოველთვის, ყველას მაგივრად იხდიდა დანახარჯს და ყველას სთავაზობდა ნამდვილ ბულგარულ სიგარეტებს.

— გამიგონეთ, ბოლე! ჩაასხით ბლომად ჩემს „შტიგლიცში“ საუკეთესო ბენზინი და ზეთი, თორემ მიულერი ტყავს გამაძრობს, თუ მანქანაში ხვალ დილასაც საჭირო გახდება ჩასხმა. ეს კი თქვენ გქონდეთ!

— აბა, რასა ბრძანებთ, ბატონო უფროსო ლეიტენანტო, აქედან გასაფრენად ხაათნახევარი გეყოფათ, ამ თქვენს კოხტა მანქანას კი ყელამდის გავავსებ!

საბილიარდოში თითქმის სალამომდე ილაყბა ეშლენბურგმა, შემდეგ გამოემშვიდობა ყველას და მომცრო „მერსედესით“ აეროდრომისკენ მოჰკურცხლა.

— კაცმა რომ თქვას, მე არ უნდა გაგიშვათ. უკვე შებინდებისას მოგიხდებათ ძირს დაფრენა, — უთხრა მორიგემ და მაგიდის უჯრაში ჩაჩყარა ხუთი კოლოფი სიგარეტი. — მაგრამ ჯანდაბას თქვენი თავი, ბოდო. იფრინეთ მცელავი ფრენით შარაგზის გასწვრივ, და შემდეგ თუ როგორ უნდა იცრუოთ — ეს თვითონვე მოიფიქრეთ!

ერთი წუთის შემდეგ ლამაზი „შტიგლიცი“ გასრიალდა მოლზე, აიჭრა ორმოციოდე მეტრის სიმაღლეზე და თვალს მიეფარა.

იმ წუთიდან, როცა ეშლენბურგმა შეისკვნა მუზარადის ბალთები და მექანიკოსებმა გზა გაუხსნეს, მთელი დღის განმავლობაში პირველად დაუოკდა შინაგანი თრთოლვა და გასაოცარი სიმშვიდე დაეუფლა.

შესაძლოა, ამას ხელს უწყობდა თანაბრად მომუშავე ძრავი და მეტისმეტად მორჩილი მანქანა.

ეშლენბურგი დაელოდა, სანამ მზე მაღალ ქედებს გადაღმა არ ჩაესვენა, მძაფრად მოაბრუნა მანქანა, თითქმის ხეთა კენწეროებამდე დაეშვა და გაექანა ზღვისკენ, ბნელ ხეობაში.

როცა მფრინავს თვალწინ გადაეშალა ზღვა, მან კვლავ მარცხნივ მიაბრუნა მანქანა, მარცხენა ფრთის ქვეშ დასტოვა ზვირთის მოთეთრო ზოლი და მშვიდად მიუშვა თვითმფრინავი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სადღაც ვიღაცამ ერთი ორჯერ დააქუხა საზენიტო ქვემეხი. სადღაც ვიღაცამ აატრიალა რაღაც შუქნიშანი, შემდეგ კი გამეფდა მყუდროება, რომელსაც არღვევდა მხოლოდ ძრავის თანაბარი გუგუნი.

სოჭის რაიონში შეამჩნია, რომ მისკენ, ნაპირიდან მოშორებით, მოჰქროდა ისეთივე ბიპლანი. და სანამ გერმანელი მოიფიქრებდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, შემხვედრი თვითმფრინავის ქიმებზე აინთო სინათლე და მისალმების ნიშნად ფრთებმა რწევა იწყის.

ბოლოც წამსვე იმგვარადვე მოიქცა, თუმცა მისმა მისალმებამ აშკარად დაიგვიანა.

კიდევ ერთი თუ ორი საათის შემდეგ ეშლენბურგმა იგრძნო, რომ ჩაძინებოდა, ხოლო „შტიგ-

ლიცს“ თვითონ მიჰყავდა იგი, თუმცა ცდილობდა შებრუნებას.

ერთი მაგრად შეუკურთხა მანქანას, შემდეგ წამოიწყო კენიგსბერგის ლიცეუმის სტუდენტთა ჰიმნი და უცბად გადაიხარხარა: წარმოიდგინა მაიორ მიულერის სიფათი, როცა მას მოახსენებდნენ, თქვენი საძულველი ეშლენბურგი და საყვარელი „შტიგლიცი“ სადღაც გაქრნენო.

წარმოგიდგენიათ — გაქრნენ და უბრალოდ კი არა, არამედ ბოლშევიკებთან გადაფრინდნენო!

ქვემოთ ბნელოდა. მაგრამ აშკარა იყო, რომ იგი მიფრინავდა სადღაც კავკასიონის ქედის განშტოებებსა და ზღვის შორის. დამამშვიდებლად ფართოვდებოდა ვაკე ველების ზოლი.

ნახევარი საათის შემდეგ ძრავი ერთი-ორჯერ ათუხთუხდა. ეშლენბურგი დარწმუნდა, რომ უსაწვავოდ მიფრინავდა. მან შეაჯანჯღარა თავისი „შტიგლიცი“. ძრავს აუტყდა ხველება. ამის შემდეგ მფრინავმა დასაჯდომ მოედანს დაუწყო შერჩევა.

მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო მთების გადაღმიდან, მაგრამ ქვემოთ სურათი უკვე ნათელი იყო: გარკვევით ჩანდა არხებითა და ღობეებით დასერილი და წვრილ-წვრილი ქვებით დაფარული ალებული და აუღებელი მომცრო ყანები.

მათ გვერდით გადაჭიმულიყო გზატკეცილი.

ეშლენბურგმა დაუცადა ძრავის მთლიანად შეჩერებას, თითქოს ცდილობდა კვლავ რამდენიმე წუთით შორს ყოფილიყო მიულერიდან და შორსმოუვლელად ნელ-ნელა დაეშვა მოთიბულ ნაკვეთზე.

თვითმფრინავმა ზანტად, თითქოს უგუნებოდ, იწყო ხტუნაობა კოლბოხებზე და შეიჭრა აუღებელი სიმინდის პირველი მწკრივის კედელში. ჩამოდგა არაჩვეულებრივი სიჩუმე...

როცა, ხუთი წუთის წინათ თავის სიმინდის ნაკვეთში მიმავალ დეიდა პელოს მოესმა სოხუმის მხრიდან უჩვეულოდ დაბლა მფრენი თვითმფრინავის თუხთუხი, იგი გაქვავებულივით შედგა. მოეჩვენა, ეს „უ-2“ პირდაპირ თავზე მეცემაო. შემდეგ სწრაფად მიმოიხედა და დარწმუნდა, რომ ირგვლივ ძე ხორციელი არავინ ჩანდა. გაშეშებულმა მთელი არსებით იგრძნო, რაღაც ცუდი ამბავი ხდებოდა, რომ თვითონ სუსტი და უმწეო ქალი იყო, არაფრის გაკეთება არ შეეძლო და თითქმის — ისიც კი არ იცოდა, თუ როგორ მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში. მაგრამ ეს გაგრძელდა მხოლოდ იმ წუთამდის, სანამ „შტიგლიცი“ არ შეიჭრა მისი სიმინდის ყანაში. სწორედ იმ ყანაში, სადაც უკვე ექვსი თვე მარტოდმარტო მოდიოდა განთიადამდის, რადგან ქმარი და შვილები ბრძოლის ველზე იყვნენ, ქალიშვილი კი ოჩემჩირის ჰოსპიტალში მუშაობდა, შინ კი აღარავინ დარჩენილიყო. დეიდა პელოს სიბერისაგან დაუძლურებულ სხეულს მრავალი თვის მანძილზე არაქათს აცლიდა აუტანელი შრომა, შიშველი ფეხები ქვებით ჰქონდა დასერილი, — და უცბად პირდაპირ მის სიმინდში ჩამოეშვა თვითმფრინავი! დეიდა, მისდა მოულოდნელად, თოხშემართული გაეშურა თვითმფრინავისკენ, თან გულშემზარავად გაყვიროდა:

— ეს როგორ შეიძლება! სად გაგონილა!

მათ ასი მეტრი აცილებდა ერთმანეთს. და, რასაკვირველია, მფრინავს არ ესმოდა მარტოხელა, ქართველი ქალის გულისწყრომით ალსავსე ყვირილი.

სანამ დეიდა პელო ქოშინით მიისწრაფოდა „შტიგლიცისკენ“, კაბინიდან გამოძვრა და ძირს ჩამოხტა ახმახი მფრინავი. მეორე დასაჯდომიდან აიღო წინასწარ მომზადებული ოფიცრის ქუდი, უკანვე გადაისროლა მუზარადი და ხელთათმანები, ჩამოიბერტყა მტვერი მუნდირისა და კრაგებისაგან და შეისწორა საყელო.

დეიდა პელომ უფრო ახლოს შეათვალიერა ეს ბულაყუდა ქერა კაცი, მისი უჩვეულო ფერისა და ყაიდის შალის სამოსი და მხოლოდ ახლა შეამჩნია სვასტიკა მანქანის გალაქულ კუდზე.

მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავი ჩვენსას ჰგავდა, დეიდა ჩაციებით მიაცქერდა სვასტიკას და მთელის არსებით იგრძნო, რომ მის წინ მტერი იდგა. სწორედ ის მძვინვარე მტერი, რომელიც უკვე ორი წელია ასახიჩრებდა მთელი სოფლის ცხოვრებას, მან წაიყვანა თითქმის ყველა მამაკაცი და სულაც წაართვა დეიდას პატარა შალიკო, „მამაცთა სიკვდილით რომ დაეცა“ სადღაც შორეულ ლენინგრადთან. ეს აშკარად მტერი იყო, და, თუმცა იგი პირველად ეჩვენა დეიდა პელოს ადამიანის სახით, მან უკვე მოასწრო ამდენი მწუხარების მოტანა, ახლა კი, პირდაპირ სიმინდში შემოიჭრა! უკანასკნელმა გარემოებამ განსაკუთრებით მაგრად გაჰკენწლა მოხუცის გული. ძალღონე მოიკრიბა, თოხი მოიმარჯვა და ფორხილ-ფორხილით მივარდა მტერს.

შემდეგ გაიმართა ასეთი მიმიკური სცენა:

ბარონმა გახსნა ბუდე და ამოიღო „ვალტერი“, დაანახვა იგი დეიდა პელოს და დემონსტრატიულად გადისროლა უკან. ამის შემდეგ მფრინავმა ნახევრად ქედმოდრეკით ზევით ასწია ორივე ხელი, თან ნიშნებითა და მიმიკით უჩვენებდა, უსიტყვოდ გემორჩილები და გნებდებიო.

ასეთი ბოლო სწორედ რომ დროული იყო, რადგან დეიდა პელოს თვითმფრინავთან მიბარბაცებისას სავსებით ქანცი გაუწყდა და აღარ იცოდა, თუ რაღა უნდა ექნა, და უფრო უმწეოდ, ვიდრე მრისხანედ, განაგრძობდა „სად გაგონილას“ ბუტბუტს.

მაგრამ, როგორც კი ბარონმა ხელები ასწია, დეიდა პელო უმალ გამხნევდა და, თოხი ისე მოიმარჯვა, როგორც მის წინაპრებს, ძველ კოლხებს ეჭირათ თავიანთი ლახტები ბრძოლის წინ. თავით მბრძანებლურად ანიშნა ეშმაკის მოციქულს, შებრუნდი და გზატკეცილისკენ იარეო.

ჯერ ერთი, იქ მალე დაიწყებდნენ მიმოსვლას სატვირთო მანქანები. მეორეც, იქ შორიახლო ყოველთვის იდგა ორი მეზღვაური. უკვე რამდენიმეჯერ მიესალმნენ ისინი დეიდა პელოს, როცა ახლოს ჩაუარა მათ. და სწორედ მათ მიჰგვრის იგი ზეციდან მოვლენილ ამ ეშმაკს!

თხუთმეტი წუთის შემდეგ სოხუმსა და ფოთს შორის გადაჭიმულ გზატკეცილზე შეიძლებოდა დაგენახათ არაჩვეულებრივი სურათი: წინ, ზედ შუა გზაზე, მიაბიჯებდა გერმანული ლიუფტვაფეს ყველაზე ახმახი უფროსი ლეიტენანტთაგანი; ხელები ჯერ მაღლა აწეული ჰქონდა, მხრებს ზევით, შემდეგ თანდათან დაუშვა ისინი მკერდის დონემდე, თითქოს ვიღაცას ზანტად უნდა ჩაჰკონებოდა და, დაბოლოს, ალმაცერად მოიხედა უკან და გადაწყვიტა, მობადრაგე ქალი არც ისე ბრძოლის გუნებაზე უნდა იყოსო, ხელები ძირს ჩამოყარა და გაემართა იმ უქნარა ადამიანის მოდუნებული ნაბიჯით, რომელიც დილის მოციონს ატარებს. მასთან, მისი წაგრძელებული, ეგრეთ წოდებული — არისტოკრატიული, უბრალოდ რომ ვთქვათ, ცხენისებური ფიზიონომია არაფერს არ გამოხატავდა, თითქოს ამ სახის პატრონი მიჩვეული იყო ყოველ კვირადღეს გადაეფრინა ფრონტის ხაზი.

მისგან ათ ნაბიჯზე, კვალდაკვალ შიშველი ფეხებით უჩუმრად მოფლატუნებდა ასფალტზე დეიდა პელო, ეტყობოდა, სიამოვნებდა რომ მაგარ, ქვიან მიწაზე აღარ ადგამდა ფეხს და თუმცა იგი არასოდეს არ უჩიოდა ამ მიწას, მაგრამ მაინც მოხარული იყო ფეხების ამ შემთხვევითი დასვენებისა. დეიდა პელოს სახე მოღუშოდა, თოხი ეჭირა ჰორიზონტალურად — ისე, როგორც ბრძოლისათვის გამზადებული ცივი იარაღი.

ერთხელ ტყვემ სცადა მობრუნება და დალაპარაკება, მაგრამ დეიდა პელო ისე მიაჩერდა მას სახეში, რომ გერმანელს მოხვდა ამ ბებრულ თვალთა მკვეთრი და ცივი ელვარება და დაჰკარგა ყოველგვარი სურვილი დაემყარებინა კონტაქტი თავის მობადრაგესთან.

ამის შემდეგ ეშლენბურგს უკან აღარ მოუხედავს და ისინი განაგრძობდნენ სვლას ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ გაუხვიეს სამხრეთისაკენ. შეიმჩნეოდა, რომ ახმახმა არიელმა იწყო ნაბიჯის განგებ შემოკლება, რათა მისი მხლებელი ქალი არ დავარდნილიყო მოქანცულობის გამო. ამ ქალის გარდა განა სხვა ვინღა დაადასტურებდა გერმანელის ჰუმანურობას, ნებაყოფლობით დაფრენასა და განიარაღებას?

დაბოლოს, მოსახვევს იქით გამოჩნდა პირველი მერცხალი, ოთხტონიანი სტუდებეკერის სახით, რომელიც ვრიალით მიქროდა ჩრდილოეთისაკენ.

ამ მერცხლის მძღოლი კინაღამ გადმოვარდა კაბინიდან, როცა მის თვალთა წინ გაიელვა უჩვეულო ცოცხალმა სურათმა. მაგრამ დეიდა პელოს არ მიუცია არავითარი ნიშანი დახმარებისათვის, მხოლოდ მისი სახის გამომეტყველება კიდევ უფრო მკაცრი და თითქმის ზვიადი გახდა, გერმანელი კი დაადგა გზის პირს და მშვიდად და წარბშეუხრელად მიაბიჯებდა წინ. მძღოლმა უფრო დიდი სისწრაფით უმატა სვლას. ალბათ, ფიქრობდა, სადმე წინ გავიგებ ამ უცნაური შემთხვევის ამბავსო. სტუდებეკერი მალე მიეფარა თვალთაგან.

შემდგომ, მოსახვევს რომ მიადგა, დეიდა პელოს თავზარი დაეცა. იქ, სადაც ჩვეულებრივად იდგა მეზღვაურთა საგუშაგო, ახლა კაცი არ ჭაჭანებდა. დეიდა პელო მოიცვა უიმედობამ და სიცარიელემ.

მან შეშფოთებით მიმოიხედა ირგვლივ. უცბად გზისპირად მდგარი ორი, ყველაზე დიდი ბუჩქი წამოდგა და გამოემართა მისკენ.

დეიდა პელოს ჯერ შეეშინდა, ეგონა მეჩვენებაო, მაგრამ ძალიან გაეხარდა, როცა მიხვდა, სწორედ მეზღვაურები არიანო. მხოლოდ მათი ჩაჩქნები და სანიღბავი ხალათები ისე იყვნენ მორთულ-მოკაზმული ეკალ-ბარდებითა და რცხილის რტოებით, რომ თუ ზეზე არ წამომდგარიყვნენ, პელო მათ ვერც კი შეამჩნევდა და გვერდს აუვლიდა საგუშაგოს.

დეიდა პელო გახარებული იყო, მაგრამ გარეგნულად არაფრით იმჩნევდა ამას; მან მშვიდად გაიღიმა მეზღვაურთა მისალმების საპასუხოდ, შემდეგ კვლავ მიიღო მკაცრი გამომეტყველება. ნიშნებით გააგებინა მათ, გერმანელი თქვენს განკარგულებაშიაო, და უკანვე, თავისი ყანისაკენ გაბრუნდა.

— ე, არა, დედილო! ასე არ იქნება! სხვის ნადავლს ჩვენ როდი ვითვისებთ! ბატალიონის მეთაურთან მოგიხდება მისვლა.

დეიდა პელომ გერმანულზე უკეთ როდი იცოდა რუსული ენა, მაგრამ მან მაინც გაიგო მეზღვაურის გულღია ღიმილი და მისი ოდესური ჟესტიკულაცია. გაიგო და დარჩა.

ერთი წუთის შემდეგ ბუჩქებში გაისმა ზუმერის ზუზუნი, და ერთმა ბუჩქმა უთხრა მეორეს:

—ასე რომ, შენ რჩები კუჩერენკოს მაგივრად. ჩვენ კი ბატალიონის მეთაურთან წავალთ დეიდასთან და ამ აყლაყუდასთან ერთად! დარეკე, რომ ვიქნებით 10.00-ზე კილვატერის მწყობრში. გასაგებია?

როცა ბოდო-ერიქ-კურტ-მარია-ადოლფ ეშლენბურგმა მტკიცედ გადაწყვიტა გადმოფრენილიყო ბოლშევიკებთან, მაშინ მის დეტალურად აწონილ-დაწონილ გეგმაში არავითარი მეზღვაურები არ მონაწილეობდნენ. ახლა კი ისინი რეალურზე რეალურნი და ხელშესახებნი იყვნენ, და მათი ხალათები, და საშინელი ნაჭრილობევი ისე აშინებდა მას, რომ — რა ექნა, აღარ იცოდა. მისი რამდენიმე გაღიმება დარჩა არა თუ უპასუხოდ, არც კი შეუმჩნევიათ. მაშინ მან ხელი იტაცა გულჯიბეზე ისე, როგორც წყალწაღებული მოებღაუჭება ხავსს, და გაახსენდა, რომ თანვე ჰქონდა ძვირფასი მონოგრამებით მოოჭვილი ოქროს პორტსიგარი; ეს მიართვეს მას, კენიგსბერგის იახტ-კლუბის საპატიო კომანდორს, მოვალეობათა შესრულების თხუთმეტი წლისთავზე.

მან სწრაფად ამოიღო პორტსიგარი და მეზღვაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებს ბულგარული სიგარეტები შესთავაზა. როცა ამ ხერხმა არ მოახდინა სასურველი ეფექტი, ეშლენბურგმა დემონსტრაციულად გაუწოდა პორტსიგარი, ნაჭრილობევი რომ აჩნდა, იმ ზემდეგს და, საკმაოდ მკაფიო ნიშნებით, აგრძნობინა, ამიერიდან ეს ნივთი შენი საკუთრება იქნებაო.

ზემდეგმა კუჩერენკომ ილლიაში ამოიჩარა ავტომატი, გამოართვა პორტსიგარი, ზერელედ შეათვალიერა იგი ყოველი მხრიდან და წარმოთქვა:

—დახე, ფომიჩოვ, რა კარგი პორტსიგარია!

— არ უნდა იყოს ცუდი, თუ ნაქურდალი არაა.

ბარონ ეშლენბურგი გამომცდელად შეჰყურებდა თვალებში ხან ერთ, ხან მეორე მეზღვაურს და ცდილობდა გაეგო, რას ლაპარაკობენო. უკანასკნელი სიტყვის აზრს მიხვდა და ნაწყენი კილოთი თქვა.

— ნიხტს! მაინე ფამილიე! პაპა!

— თუ ნაქურდალი არაა, შენვე გქონდეს! — კუჩერენკომ ბარონს ისე შეაჩეჩა ხელში კენიგსბერგული საიუველირო ხელოვნების შედევრი, თითქოს ძველ ჯაყვას აძლევდა, და თავის ამხანაგს უთხრა: — როგორაა საქმე, ფომიჩევ, ჯიბეები ხომ კარგად გაუსინჯე?

— გასინჯულია!

— სადაა საბუთები? მოიტა! აბა, წავიდეთ.

პორტსიგარის ბედი შეუნიშნავი როდი დარჩა დეიდა პელოს; გულზე რაღაც სითბო გადაელვარა, როცა ეს ოქრო, რომელიც მთელი სახლის სახყიდლად კმაროდა, აგდებულად დაუბრუნდა პატრონს და გაქრა მის ჯიბეში.

— ჩემო შვილებო... — ბუტბუტებდა იგი და დანაოჭებული ტუჩებით ეხებოდა თავსაფრის ყურებს.

ოთხი ფიგურა დაწალიკებით დაადგა ვიწრო და სველ ბილიკს შავი ზღვისაკენ, სადაც სანაპიროს უღრან ტყეში იდგა მეზღვაურ ქვეითელთა ბატალიონის შტაბი.

წინ მიდიოდა უზარმაზარი კუჩერენკო და თავისი მძლავრი მხრებით აქეთ-იქით სწევდა ეკალბარდებს, რათა ადვილად ევლო „დეიდას“. და თუმცა მოხუცი უფრო მოხერხებულად და ყოჩაღად მიდიოდა, ვიდრე მეზღვაური, უკანასკნელი ამას არ გრძნობდა და ცდილობდა დახმარებოდა მას. დეიდის უკან უშნოდ მოყანყალებდა ტყვე და ყანჩასავით, რაც შეიძლება, მაღლა სწევდა ფეხებს. იგი იგერიებდა კრაზანებსა და კოღოებს და მთელი გზის მანძილზე აგინებდა თავისთავს, ხელქვეითის თანადასწრებით უფროსს საჩუქარი რად შევთავაზეო, და აღთქმას სდებდა, შემდგომში უფრო მოხერხებული ვიქნებიო.

როცა მეზღვაურ ქვეითელთა ყურამდე მიაღწია პირველმა ცნობამ გერმანელის გადმოსვლის შესახებ, მაშინ როგორც თვით ბატალიონში, ისე ზემდგომ შტაბებშიაც, სადაც შეიტყეს ეს „საგანგებო ამბავი“, შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა.

განსაკუთრებით ღელავდა ახალგაზრდა კაპიტანი, დაზვერვის უფროსი: აბა, ერთი იფიქრეთ, ადგილზე გერმანელის დაკითხვისა და მთელი ვითარების წინასწარი შესწავლის ნაცვლად ბატალიონის მეთაურმა უბრალოდ ბრძანა — შტაბში წარედგინათ გერმანელი და მიყვანამდე კარგად გამოეძლოთ იგი. ეს იყო ყველა ინსტრუქციისა და დებულების დარღვევა და განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის მზვერავთა შესახებ ყველა თარგმნილი წიგნის უარყოფა.

კაპიტან-ლეიტენანტს არავითარი სპეციალური მომზადება არ მიუღია. ის გადაყვანილი იყო ფლოტის ბაზიდან ცალკე ბატალიონში პირველ თავისუფალ თანამდებობაზე. აქ ის გულმოდგინედ შეუდგა მეზღვაურ ქვეითელთა შორის უმაღლეს დონეზე დაზვერვის ამაღლებას. იგი ჩაეფლო წიგნებსა და წესდებებში და საშველს აღარ აძლევდა ხელქვეითებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ბატალიონი გადმოისროლეს სანაპიროს დასაცავად აქ, საიდანაც მოწინააღმდეგემდე პირდაპირი ხაზით 500 კილომეტრი მაინც იქნებოდა, რის გამოც ახალგაზრდა მზვერავს ვერაფრით ვერ მოეხერხებინა თავისი ნიჭის გამოყენება.

წარმოიდგინეთ, როგორ შეშფოთდებოდა და გა

(გაგრძელება მე-11 გვ.)

# მერე, რომელი [illegible] გაიმარჯვებდა

...ბურთი ღრმა ზურგიდან მიიღო ბორის პაიჭაძემ. ჰაერიდან ზანტად დაშვებული ბურთი უეცრად გამოცოცხლდა, და თვალშეუვლები ზიგზაგებით გასრიალდა მოწინააღმდეგის კარისაკენ. ცენტრალურმა მცველმა, თორაძემ, რომელიც პირველად თამაშობდა სახელგანთქმული ფორვარდის წინააღმდეგ, ვერ შებედა პაიჭაძესთან პირისპირ შებმა და სწრაფად იწყო უკან დახევა, რათა პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ბურთს დაუფლებოდა. მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ რაღაც უცნაური, შეუცნობელი ფინტის წყალობით, იგი პაიჭაძის ზურგს უკან აღმოჩნდა. პაიჭაძე გრიგალივით გაიჭრა საჯარიმო მოედნისაკენ. კარის გადასარჩენად ორივე მხრიდან მოჰქროდნენ ხოჯოლავა და ჩოხელი. მაყურებელთა გამაყრუებელ გუგუნში უფრო დრამატულად გამოიყურებოდა შექმნილი მდგომარეობა... პაიჭაძის უუმბარისებურმა დარტყმამ კარის ძელი შეაზანზარა და ბურთი იმავე სისწრაფითა და სიძლიერით უკან გამობრუნდა... დარტყმა! არავინ, არავინ ელოდა ამ მეორე დარტყმას, ცბიერსა და მოულოდნელზე მოულოდნელს. ჰაერში ჯამბაზივით გადატრიალებულმა, მიწაზე თავითა და ცალი მხრით დავარდნილმა გაიოზ ჯეჯელავამ წარმოუდგენელი, უძნელესი მდგომარეობიდან ისევ კარისაკენ გაგზავნა ბურთი. ვულკანივით ამოიხუვლა სტადიონმა და ეს გუგუნი, როგორც ზარბაზნის ზედიზედ გასროლა, ისევ განმეორდა, როცა მეკარე კოტრიკაძემ არაადამიანური სწრაფი ნახტომით პირით ხაზს იქით გადააგდო ბურთი. წვიმასავით დასცხო და წვიმასავით გადაიარა 40.000 მაყურებლის ტაშმა. ეს ტაში თანაბრად ეკუთვნოდა ვირტუოზ თავდამსხმელსა და აკრობატ მეკარეს. კუთხური დარტყმა! მარცხენა გარემარბი ასლან ხარბედია უკვე მირბის დროშისაკენ, სადაც სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა ბიჭუნამ ბურთი დადო. კარის დასაცავად თავდამსხმელები შემოვიდნენ საჯარიმო მოედანზე, აქ არის ლოლობერიძე, აქ არის კალოევი. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მატჩი მეტად საპასუხისმგებლო და პრინციპულია...

... სად შედგა ეს თამაში? როდის შედგა? როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მოედანზე პაიჭაძე და თორაძე, ხარბედია და ჩოხელი, სერგო კოტრიკაძე და ჯეჯელავა?

1959 წლის 5 ნოემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა უკანასკნელი ოფიციალური მატჩი ფეხბურთში. ამ დღეს ხსრკ თასის გათამაშების მერვედ ფინალში ერთმანეთს შეეჯახნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები. ყველას ახსოვს ამ შეხვედრის წვრილმანები. რა გაფთრებით იბრძოდა ორივე გუნდი გამარჯვების მოსაპოვებლად! ყველას ახსოვს-მეთქი ამ „დიდი ფეხბურთის" 120 წუთიანი ბრძოლა, რომელიც თბილისის დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდა მატჩის შემდეგ, როდესაც სტადიონის ტრიბუნები დაცარიელდა და ნიავმა სკამებზე დაფენილი გაზეთები აფრიალა.

ჩრდილოეთ ტრიბუნების მეორე იარუსზე, საათის ქვეშ, სამი ახალგაზრდა იჯდა. ისინი დუმდნენ და დაფიქრებულნი გაჰყურებდნენ ცარიელ მინდორს, თითქოს იქ ისევ გრძელდებოდა დაძაბული ბრძოლა. ერთი მათგანი, სათვალიანი შავგვრემანი ყმაწვილი, თბილისის ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომელი იყო. მეორე, თმახუჭუჭა ბიჭი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაჰქრობოდა აღელვება, მოუსვენრად ტოკავდა სკამზე. იგი პროფესიით მხატვარი იყო. მესამე, ყველაზე ახალგაზრდა, ჯერ კიდევ არ გასცილებოდა სკოლის მერხს.

როდესაც უკანასკნელი მაყურებლები თვალს მიეფარნენ, დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე გამოჩნდა სტადიონის მოხუცი დამლაგებელი. მან დინჯად მოუკიდა პაპიროსს და სკამების დასუფთავება დაიწყო. მზე ჩადიოდა. სტადიონს ჩრდილი გადაეფარა.

— თანაბარი თამაში იყო, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა სათვალიანმა ჟურნალისტმა და თვალი კარის იმ წერტილს მიაპყრო, სადაც მეორე, გადამწყვეტი ბურთი გაახვია მიხეილ მესხმა.

— ჰო, — მცირე დუმილის შემდეგ გაეპასუხა მხატვარი, — სპარტაკელებსაც შეეძლოთ მოგება.

მოსწავლეს გაეღიმა:

— თუ შეეძლოთ, რატომ ვერ მოიგეს?

— თანაბარი თამაში იყო, — ფილოსოფიური სიდინჯით გაიმეორა ჟურნალისტმა და დამცინავად გადახედა მოსწავლეს, — ამ შეხვედრის მოგება „სპარტაკსაც" შეეძლო. დინამოელებმა ფორმალური, უფრო სწორად, ფაქტიური გამარჯვება მოიპოვეს. აი, 6:3-ზე რომ მოეგოთ, როგორც 1936 წელს დაამარცხეს „სპარტაკი", მაშინ აღარ ვიტყოდი ასე, მაშინ თამაშშიც დინამოელთა აშკარა უპირატესობას დავინახავდით. დღეს კი აშკარა უპირატესობა არ იგრძნობოდა. თუმცა ჩვენმა გუნდმა ბრწყინვალედ ჩაატარა ეს მატჩი. „სპარტაკი" გვჯაბნიდა მოედნის ცენტრში, გვჯობდა ბურთის გადაცემებით, ჩვენზე მოქნილად იყენებდნენ ადგილების შენაცვლების ხერხს, რომელიც პირველად თვით თბილისის „დინამომ" შემოიღო 1939 წელს.

— ჩვენ შემოვიღეთ და ახლა „სპარტაკი" გვჯობნის?

— სამწუხაროდ, ასეა. ჩვენ ბევრი რამ გვქონდა კარგი და დავკარგეთ.

— მაგრამ ამ სეზონში ჩვენმა „დინამომ" საგრძნობლად გამოაკეთა თამაში, — ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

— მართალია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აკლიათ, 20 წლის წინანდელ დონეს რომ გაუთანაბრდნენ.

— მაინც რა აკლიათ? 48 ბურთი გაიტანეს წელს, ყველაზე მეტი...

— სამაგიეროდ 82 მიიღეს საკუთარ კარში.

— ესე იგი?

— ესე იგი, დაცვაა სუსტი!

— ასეა თუ ისე, — გამწარდა მოსწავლე, — წელს მესამე ადგილი ავიღეთ კავშირში, მხოლოდ მოსკოვის ორმა გუნდმა გაგვისწრო.

— ასეა თუ ისე, — გამოაჯავრა ჟურნალისტმა, — 1939 წელს მეორე ადგილი ავიღეთ, 1940 წელს ისევ მეორე ადგილი, და ომს რომ არ შეეშალა ხელი, ჩვენი გუნდი ისეთი გიგანტური ინერციით მიიწევდა წინ, რომ მომდევნო წლებში უსათუოდ გახდებოდა ჩემპიონი.

—ეგ არავინ იცის, — ჩაერია ლაპარაკში მხატვარი, — ძველი დინამოელები, როგორც წესი, ძალიან ხუსტად თამაშობდნენ სხვის მოედნებზე და თბილისში მოპოვებულ გამარჯვებებს მოსკოვსა და ლენინგრადში აქარწყლებდნენ. პირველ ადგილს ისინი ვერასოდეს მოიპოვებდნენ. წელს კი, იანვარიდან, თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე მაქსიმალური ქულა შეაგროვეს რესპუბლიკის გარეთ.

— ამას გარდა, — დაურთო მოსწავლემ, — ასეთი კოლექტიური თამაში 20 წლის წინანდელ „დინამოს" არ ჰქონია...

— სამაგიეროდ მებრძოლი სული ჰქონდათ, კბილებით იცავდნენ გუნდის სპორტულ ღირსებას! — მოისმა უეცრად უკანიდან. სამივემ მოიხედეს. ბოლო რიგზე დამჯდარიყო სტადიონის მოხუცი დამლაგებელი და სახეზე ღიმილს იწმენდდა.

— გადამწყვეტ მატჩებს რომ აგებდნენ? ეს იყო მებრძოლი სული? — მაშინვე შეუტია მოსწავლემ. მოხუცს გაეღიმა, წამოდგა და პატარა ნაბიჯებით გადმოაბიჯა რიგებს.

—შენ რა იცი, ბიჭო, აგებდნენ თუ იგებდნენ, შენ ხომ მაშინ დაბადებულიც არ იყავი.

— როგორ არ ვიცი, ორჯერ გავიდნენ თასის ფინალში და ორჯერვე დამარცხდნენ... წამიკითხავს, გამიგონია...

— შენ წაგიკითხავს, შვილო, მე კი, აი ამ თვალებით, რომლებმაც დღევანდელი მატჩი იხილეს, სწორედ ამ თვალებით მინახავს პაიჭაძისა და ჯეჯელავას, ფროლოვისა და დოროხოვის თამაში. პაიჭაძე არტისტი იყო, დიდი არტისტი, ყველა როლს ბრწყინვალედ ასრულებდა...

ჟურნალისტი შეუვარებულივით შეჰყურებდა მოხუცს.

— აი, ბაბუა, თქვენ თურმე გესმით ფეხბურთი, ამათ კი ვერ გავაგებინე.

— რას ამბობთ, შვილებო, „მეტალურგს" რომ თამაშის უკანასკნელ წუთებში სამი ბურთი შეუგდეს, გახსოვთ? მოსკოვის „დინამო" რომ 4:1 დაამარცხეს, გაგიგონიათ? „ცდკა"-სთან რომ 1:4 აგებდნენ და 5:4-ზე რომ დაამარცხეს, ყოფილხართ იმ თამაშზე? ეს იყო გუნდი, რომლითაც ამაყობდა ჩვენი ქვეყანა.

— წვიმაში რომ ვერ თამაშობდნენ, ის როგორღა იყო, ბაბუა? — ურხვლიტა მხატვარმა.

— წვიმაში... წვიმაშიც თამაშობდნენ და ქარიშხალშიც. — ოდნავ გაწითლდა მოხუცი.

— მაშ, თქვენის აზრით გამოდის, რომ 20 წლის წინანდელი „დინამო" მოუგებდა დღევანდელ გუნდს? — ჰკითხა მოსწავლემ.

— თავისუფლად!

— თავისუფლად არა, მაგრამ მოუგებდა, — დამაჯერებლად წარმოთქვა ჟურნალისტმა.

—ეს ლიტონი განცხადებაა, თუ მართლა გწამს, რასაც ამბობ, სცადე და დაამტკიცე. — გაბრაზდა მხატვარი.

— ახლავე მოგახსენებთ, — ჟურნალისტმა ნცკი მოლუნა, — ამ შეხვედრაში ჯეჯელავას მოუხდებოდა ხოჯოლავას წინააღმდეგ ბრძოლა და თავისუფლად გავიდოდა კიდევაც. თქვენ რას იტყვით?

— ჰო, ვთქვათ, გავიდოდა, — უხალისოდ წამოიძახა მოსწავლემ.

— ვთქვათ კი არა, ასე იქნებოდა. ეს ერთი, მეორე — პაიჭაძე თავისუფლად ითამაშებდა [illegible] მარტო თორაძის, არამედ დღევანდელი „დინამოს" ყოველი [illegible] ცველის წინააღმდეგ და დაუბრკოლებლად ითარეშებდა მარცხ[illegible]ვაც და მარჯვნივაც. ასეა თუ არა?

— თითქმის... — ძნელად [illegible] ათანხმდნენ მხატვარი და მოსწავლე.

— ახლა შებრუნებით ვივა[illegible]უდოთ, — გააგრძელა ჟურნალისტმა, — მელაშვილს და ბ[illegible]რას ასე თუ ისე დაიჭერდნენ კიკნაძე და გაგუა. მეთანხმები? კეთილი და პატიოსანი. ფროლოვს მაინცდამაინც არ გა[illegible]ირდებოდა კალოევთან თამაში. სწორი ვარ თუ არა?

— მოიცა, მოიცა, — სიტ[illegible] წაართვა მხატვარმა, — შენ შენსას ამბობ, ახლა ჩვენიც მო[illegible]ინე: მესხსა და ლოლობერიძეზე რას იტყვი, თუ კი მათ [illegible] უხდებოდათ შავგულიძისა და ჭორბენაძის წინააღმდეგ ბრძოლა, გაივიდოდნენ თუ არა?

— გაივიდოდნენ... — ახლა ჟურნალისტმა დაუყარა ფარხმალი.

— დიდი მადლობა თანხმ[illegible]სათვის. იამანიძე შესძლებდა თუ არა მიხეილ ბერძენიშვილის [illegible]აჭერას?

— დაიჭერდა, კარგად თ[illegible]აშობს, მაგრამ ბერძენიშვილიც ხშირად დაუსხლტებოდა ხე[illegible]დან.

— ულრმესი მადლობა... [illegible]ელი განა ვერ დააკავებდა ხარბედიას? დააკავებდა! ჩვენც [illegible] გვინდა. შენ კი ამბობდი, „39" წლის გუნდი ადვილად მოუ[illegible]და წლევანდელ შემადგენლობასო.

— ვამბობდი და ახლაც [illegible]ბ.

— თქვი, არავინ გიშლის, [illegible]გრამ ვერაფერს დაამტკიცებ.

— განა შენ კი დაამტკიცე[illegible] რაიმეს?

— შვილებო! — წამოიძა[illegible] მოხუცმა, — ეგრე ვერ მორიგდებით. ფეხბურთი ბრძოლაა, [illegible] თეორიები არ გამოგადგებათ.

— მაშ, რა ვქნათ? — წამ[illegible]ძახა სამივემ ერთად.

— აიღეთ და შეახვედრეთ [illegible] გუნდები. ჯერ კიდევ დროა, არ დაღამებულა.

— შევახვედროთ?? — მ[illegible]ლოდნელობისაგან სამივემ პირი დააღო.

— ჰო, ამდენ კამათს, სჯო[illegible] შეახვედროთ. აი, ბურთი და მოედანი, ვინც მოიგოს, აღალე[illegible]ოს, — მოხუცმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ახალგაზრდებს.

— შევახვედროთ! — საბ[illegible]ოლო ყიჟინასავით გაისმა ჟურნალისტის ხმა.

— ვათამაშოთ! — მიიღო [illegible]გამოწვევა მხატვარმა, — დამისახელეთ თქვენი შემადგენლობა.

— თბილისის „დინამო" — 1939 წლის პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი: [illegible]ოროხოვი, შავგულიძე, კიკნაძე, ჭორბენაძე, ფროლოვი, გაგუა, [illegible]ეჯელავა, მიხ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, ხარბედია. [illegible]სათადარიგო მოთამაშეები: კავსაძე, ტუებუჩავა, მინჯია, მინაევი, [illegible] ჟელიძე, ვლ. ბერძენიშვილი, გავაშელი, ჭორჭიკია, ლოლაძე, სომოვი. თქვენ ვინ გამოგყავთ?

— თბილისის „დინამო" 1959 წლის პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი: სერგო კოტრიკაძე, ხოჯოლავა, თორაძე, ჩოხელი, იამანიძე, ზეინკლ[illegible]ლი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ლოლობერიძე, მესხი. [illegible]სათადარიგო შემადგენლობა: კავაზაშვილი... ალ. კოტრიკაძე... [illegible]აგნიძე... ჟორდანია... — მხატვარს ენა დაება, უნდოდა მოეგ[illegible]ებინა ცნობილი გვარები, მაგრამ არ აგონდებოდა.

— ეს კიდევ ერთი უპი[illegible]ტესობა, — წამოიძახა ჟურნალისტმა. — „39" წლის გუნდს გა[illegible]ლებით ძლიერი სათადარიგო შემადგენლობა მყავდა.

— სამაგიეროდ... — უ[illegible]ოდა დაეწყო მხატვარს, მაგრამ მოხუცმა შეაწყვეტინა.

— გეყოფათ-მეთქი კამა[illegible]ი, ვერა ხედავთ გუნდები უკვე მოედანზე გამოხყავთ კაპი[illegible]ებს. აბა, საათი დაინიშნე!

— თქვენ რა პირობებს [illegible] გვიყენებთ? — ჰკითხა მხატვარმა ჟურნალისტს.

— პირობები ჩვეულებრ[illegible] იქნება!

— მე მოვითხოვ, რომ მ[illegible]ე ტაიმში წვიმა მოვიდეს, — თქვა მხატვარმა.

— არაფერი მაქვს საწ[illegible] ლმდეგო, მაგრამ ჩემის მხრივ მოვითხოვ, რომ დაინიშნოს [illegible]მხრივი პენალტი.

მოხუცს გაეღიმა.

— ბერძენიშვილის იმედ[illegible] გაქვს?

— მოიცათ, თამაში დაი[illegible]ო! — წამოიძახა მოსწავლემ.

ყველანი გაინაბნენ.

კალოევის მიწოდებული ბურთი ბარქაიამ მიიღო...

დოროხოვი, რომელიც აქამდე კარის კუთხიდან კუთხეში ბოლთას სცემდა, შეჩერდა და ბურთს თვალი გააყოლა.

ბურთმა მელაშვილთან გადაინაცვლა...

ფროლოვმა ინტერესით შეათვალიერა „59"-ელთა ცენტრფორვარდი კალოევი, მახსავით მაღალი და მოქნილი მოთამაშე. „ამბობენ, კარგად თამაშობს თავითო, — გაიფიქრა მან, — ვნახოთ".

მელაშვილი თავისსავე ფინტზე წამოეგო და დაჰკარგა ბურთი. არჩილ კიკნაძემ ძლიერად დაარტყა... ბურთი მიიღო პაიჭაძემ. თითქოს გამოცოცხლდა ბურთი და თვალშეუვლები ზიგზაგებით გასრიალდა მოწინააღმდეგის კარისაკენ... თუ რა მოჰყვა პაიჭაძის ამ გარღვევას თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

...და აი, ახლა, ხარბედია აწვდის კუთხურ დარტყმას. ბურთი მიიღო ბერძენიშვილმა, გადააწოდა პაიჭაძეს, ამ უკანასკნელმა ბურთი გაგზავნა საჯარიმო მოედნის იმ ნაწილში, სადაც არც ერთი მოთამაშეთაგანი არ დგას. გადაცემა თითქოს უმისამართოა, მაგრამ მას უეცრად აღმოუჩნდა ადრესატი; მოთამაშეთა მჭიდრო ჯგუფიდან შურდულივით გამოვარდა ბერეჟნოი და [illegible] ვური დარტყმით გაგზავნა ბურთი კარისაკენ. არის! კოტრიკაძის ნახტომი ამაო აღმოჩნდა. 1:0 „39"-ელთა სასარგებლოდ. ამ პირველ მარცხს „59" აუღელვებლად შეხვდა. გუნდები საკმაოდ კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ამიტომ თამაში ყოველგვარი წინასწარი დაზვერვის გარეშე წარიმართა. „39" უტევდა მთელი ფრონტით. ვერც ერთი მაყურებელი ვერ იწინასწარმეტყველებდა, თუ რომელ მხარეს წაიყვანდა თამაშს პაიჭაძე. იგი ხან ცენტრიდან არღვევდა „59"-ის დაცვას, ხან მარცხენა მხრიდან, ხან კი კომბინაციას სხვა იწყებდა და პაიჭაძეს თავიდანვე გარემარბის ადგილი ეკავა. ამ დაუბოლოვებელ ვარიანტებს თავისი ლაზათი და ეშხი შეჰქონდა „39"-ელთა თამაშში, ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებდა მაყურებლებს კომბინაციების ნოველებივით მოულოდნელი ფინალები. „59"-ის თავდასხმის სქემა კი თამაშის მე-10 წუთიდან ერთი ძირითადი ვარიანტით შემოიფარგლა. მხოლოდ მარცხენა ფრთაზე ჰქონდათ მათ უპირატესობა და კომბინაციებსაც, უმთავრესად, კალოევ-ლოლობერიძე-მესხის სამეული ატარებდა. ამიტომ, ფროლოვს ხშირად მარჯვენა ნახევარმცველის ადგილზე უხდებოდა გადანაცვლება.

თამაში არნახული, თავბრუდამხვევი ტემპით მიმდინარეობდა. მსაჯი ძლივს ასწრებდა მოედნის ერთი მხრიდან მეორეზე გადარბენას. იყო მომენტი, როდესაც ერთი წუთის — 60 წამის განმავლობაში — ორივე მეკარემ ორ-ორჯერ გადაარჩინეს კარი აშკარა გოლებისაგან. ფეხბურთის სპეციალისტების ერთი ჯგუფი ფიქრობდა, რომ ამ ტემპს გუნდები ბოლომდე ვერ გაუძლებდნენ, რომ თავს იჩენდა ერთ-ერთი მხარის ფიზიკური უპირატესობა და გამარჯვებაც მას დარჩებოდა. სხვა სპეციალისტები კი ვარაუდობდნენ, რომ მხოლოდ ფიზიკური მომზადება დიდ როლს არ ითამაშებდა ამ შეხვედრაში.

34-ე წუთზე სერგო კოტრიკაძის თავგანწირულმა ნახტომმა იხსნა „59" მეორე გოლისაგან. იგი ფეხებში ჩაუვარდა პირისპირ დარჩენილ ბორის პაიჭაძეს და პირდაპირ ლუკმა გამოართვა პირიდან. წამის ერთ მეასედ მონაკვეთში პაიჭაძეს კიდევ შეეძლო ბურთს დაუფლებოდა, რადგან იგი ხელიდან გაუვარდა კოტრიკაძეს, მაგრამ შესაძლებელი იყო დაეხახიჩრებინა წაქცეული მეკარე და ამიტომ აჩრია თავზე გადახტომოდა მას. მაყურებლები ტაშის გრიალით შეეგებნენ ორივე სპორტსმენის თამაშს.

თავის საჯარიმო მოედანს გამოცილებულმა დოროხოვმა ყველაფერი კარგად დაინახა. მან ისე განიცადა კოტრიკაძის ნახტომი, თითქოს თვითონ ჩავარდნოდეს ფეხებში თავდამსხმელს. „ყოჩაღ, სერგო"! — შეაქო კოლეგა, და რატომღაც გული აუჩვილდა.

ტაიმის ბოლო წუთებში ანგარიში მაინც გაიზარდა. საჯარიმო მოედანზე შეჭრილი ჯეჯელავა „მოცელეს", და მსაჯმა 11 მეტრიანი დარტყმა დანიშნა. სტადიონი აჩოჩქოლდა, სკასავით აზუზუნდა. ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული? უსწრაფესი რეაქციის მქონე მეკარე, რომელმაც ერთ თამაშში ორი პენალტი აიღო, თუ 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმის განუმეორებელი ოსტატი მიხეილ ბერძენიშვილი?

„არ უნდა მოვტყუვდე და ავიღებ, არ უნდა მოვტყუვდე და ავიღებ", მაჯასავით უფეთქავდა აზრი კოტრიკაძეს.

„უნდა მოვატყუო და გავიტან", ფიქრობდა ბერძენიშვილი.

კარგმა მოიერიშემ აჯობა კარგ მცველს. ბურთმა სულ ახლოს, მარჯვნივ ჩაუქროლა კოტრიკაძეს, მაგრამ ბერძენიშვილის ცრუ მოძრაობის წყალობით, მთელი სიმძიმით მარცხნივ იყო გადახრილი და იმ წამში შეუძლებელი იყო თუნდაც ნელა გაგორებული ბურთის მოგერიება მარჯვენა მხარეს. 2:0 „39"-ელთა სასარგებლოდ.

ასე დამთავრდა ამ შესანიშნავი მატჩის პირველი ნახევარი.

მხოლოდ ახლა მოიცალეს მაყურებლებმა და ცას ახედეს. შავი ღრუბლები გადმოჰფარვოდა სტადიონს.

„ნეტა წვიმა არ მოვიდეს", ნატრობდნენ „39"-ელთა გულშემატკივრები.

„რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ჩვენი გუნდი დამარცხებას გადაურჩეს?" ფიქრობდნენ „59"-ის მომხრენი.

იმ დღეს ბევრი თბილისელი სპორტის მოყვარული დარჩა სტადიონის გარეთ, ისინი იძულებული გახდნენ შინ დაბრუნებულიყვნენ და რადიო-მიმღები აემუშავებინათ.

„...ამხანაგო რადიომსმენელებო, — ლაპარაკობდა დიქტორი, — თქვენ გესმით ჩემი ხმა, თამაშის დამთავრებას აკლია [illegible] წუთი, ანგარიშია 2:2. დიახ, 2:2. მეორე ტაიმის განმავლობაში „59"-ელებმა შესძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. უნდა ითქვას, რომ ამაში მათ წვიმამ დაეხმარა. სტადიონზე ახლა წყლის გუბეები დგას და, როგორც მოგეხსენებათ, ასეთ მოედანზე თავიანთ ტექნიკურ უპირატესობას ვერ იყენებენ ხოლმე „39"-ელები. მეორე ტაიმის დასაწყისში „59"-მა ვერ გამოიყენა ანგარიშის შეცვლის თვალსაჩინო შესაძლებლობა — 11 მეტრიანი საჯარიმო. ლოლობერიძის დარტყმული ბურთი ვირტუოზული ნახტომით აიღო დოროხოვმა. თამაშის მე-60 წუთიდან მოედანს მთლიანად დაეუფლნენ „59" გუნდის მოთამაშეები. სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა თავით თამაშის ორი ოსტატის — კალოევისა და ფროლოვის ორთაბრძოლა. გაზშირდა იამანიძის გრძელი რეიდები და მესხის გარღვევები. ლოლობერიძე ჩვეული უნარიანობით დირიჟორობდა მთელ გუნდს. მატჩის 67-ე წუთზე ბურთი გაიტაცა მესხმა, ბრწყინვალე დრიბლინგით უკან ჩამოიტოვა ორი დამცველი, მოატყუა მეკარე და ბურთიანად შევარდა კარში. და მაშინ მთელი სტადიონი მოწმე გახდა ფეხბურთის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევისა — მიხეილ მესხთან მიიჭრა მისი მოწინააღმდეგე, ბორის პაიჭაძე, მხურვალედ ჩაიკრა გულში და სამაგზის გადაკოცნა...

სულ უფრო და უფრო ანვითარებენ იერიშებს „59"-ელები. დოროხოვს ზედიზედ მოუხდა მკვდარი ბურთების აღება. თამაშგარე მდგომარეობიდან იამანიძისა და მელაშვილის მიერ გატანილ იქნა ორი ბურთი, რაც მსაჯმა, რა თქმა უნდა, არ ჩათვალა. დაბოლოს იამანიძემ მაინც არ უღალატა თავის „ჩვეულებას" — საკუთარი საჯარიმო მოედნიდან აღებული ბურთით ცენტრიდან შეიჭრა „39"-ელთა საჯარიმო მოედანზე, მას შეეძლო კარში დარტყმა, მაგრამ ბურთი უკეთეს მდგომარეობაში მყოფ კალოევს გადააწოდა. აქ კვლავ თავის ადგილზე აღმოჩნდა ფროლოვი, ამიტომ კალოევმა ელვისებურ სწრაფესად დაამუშავა ბურთი, ფარული, ლამაზი გადაცემით დაუბრუნა იამანიძეს და... დოროხოვი ამაოდ წაეპოტინა ბადეში გახვეულ ბურთს. 2:2!.

და აი, ამხანაგო რადიომსმენელებო, თამაშის დამთავრებას 8 წუთიღა აკლია. „39"-ელებს სურთ ხელიდან გაშვებული გამარჯვების უკან დაბრუნება, მაგრამ მოასწრებენ განა?! ისინი ტაქტიკურად სწორ გეზს ადგანან. წვიმა წვიმაა, მაგრამ ფეხბურთის ტექნიკის ოსტატებმა იციან, როგორ დაარტყან სველ ბურთს. 20, 25, 30 მეტრის მანძილიდან ბომბავენ ისინი „59"-ელთა კარს. აშკარად ჩანს, რომ ამ უკანასკნელებმა მოადუნეს თამაში, ეტყობა, კმაყოფილი არიან ანგარიშის გათანაბრებით.

2 წუთი, მხოლოდ 2 წუთიღა დარჩა თამაშის დამთავრებამდე. ბურთი შავგულიძისაგან მიიღო გაგუამ, ამ უკანასკნელმა ზუსტად გადააწოდა პაიჭაძეს... მოატყუა ზეინკლიშვილი... უკან მოიტოვა თორაძე. ჩქარა, ჩქარა, საჭიროა დარტყმა. მაგრამ პაიჭაძე კვლავ კარისაკენ მიიწევს. აი იგი იძულებულია უკან გამობრუნდეს ბურთიანად... დარტყმა! არის!! ო, რა ცრუ მანევრი იყო. რა შესანიშნავი დრიბლინგი გახლავთ! 3:2, 3:2 „39"-ელთა სასარგებლოდ. ეს მოხდა თამაშის უკანასკნელ, 90 წუთზე. მსაჯი საათზე იყურება, „59"-ელები ვერც ასწრებენ თამაშის ცენტრიდან დაწყებას... გაისმის სასტვენის ხმა... თამაში დამთავრდა... გუნდები სტოვებენ მოედანს... აი, რა მოჰყვა თვითდამშვიდებას და კმაყოფილებას. როგორც გახსოვთ, მსგავს შემთხვევებს ჰქონდა ადგილი „59"-ის შეხვედრებში მაგალითად ლენინგრადის „ზენიტთან". ეს მატჩი „59"-ელებმა უკანასკნელ წუთებში წააგეს.

გუნდები გავიდნენ მოედნიდან. მომავალ, 1960 წელს ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ამხანაგურ მატჩში. ვნახოთ, იქნებ იმ დროისათვის „59"-ელებმა კიდევ უფრო აამაღლონ თამაშის კლასი და ოსტატობით გაუსწრონ კიდევაც „39"-ელებს.

მომავალ წლამდე, ამხანაგო რადიომსმენელებო!

გადაცემა მიჰყავდა — ე. მარიამიძე.





ლიზიანდებოდა ის (გარეგნულად, როგორც ჭეშმარიტ მზვერავს შეეფერება, იგი არაფერს იმჩნევდა), როცა საგუშაგოდან დაურეკეს, მოგვყავს ჩვენს მხარეზე, ალბათ, ნებაყოფლობით გადმოფრენილი გერმანელი მფრინავიო. გერმანელი, ოფიცერი, მფრინავი!

კაპიტან-ლეიტენანტმა მოიმზადა „სამხედრო ტყვეთა დასაკითხი ფურცლები“ და გერმანულ-რუსული ლექსიკონი, მონახა ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში და გააცნო მას თავისი წინასწარი მოსაზრებები.

— მიაქციეთ ყურადღება, რომ, თუ ობიექტიურად შევაფასებთ საერთო ვითარებას, ფაშისტური არმიის მდგომარეობა არც ისე ცუდია. მეორე ფრონტი არ გახსნილა და იგი ჯერ არსად ჩანს. ფონ კლაისტის პირველი სატანკო არმია მაიკოპშია; მისი მთავარი დარტყმა, უთუოდ, გამიზნულია ბაქოსკენ. ნოვოროსიისკის წინააღმდეგ წინათ მდგარი რუოფის მე-17 არმია გადმოსროლილია ჩვენს ახლოს, ხოლო 44-ე კორპუსიდან გამოყოფილია ლენცის სპეციალური ჯგუფი ტუაფსეს დასაპყრობად. და ყველაფერი ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება არ იცოდეს ლიუფტვაფეს უფროსმა ლეიტენანტმა, ამ მიმართულებით მოქმედი პოლკის მფრინავმა. მაშინ რატომ გადმოფრინდა ჩვენსკენ და დანებდა უიარაღო დედაბერს? არა! რაც გნებავდეთ, ის იფიქრეთ, ამხანაგო მაიორო, აქ კი რაღაც სხვაგვარადაა საქმე!

— ასეა თუ ისე, — ეს შემდეგ გამოჩნდება, ახლა კი სჯობს, ისა თქვა, ძვირფასო მზვერავო, ამ ძაღლსა და მამაძაღლს რატომ არც ერთმა ჩვენმა ბატარეამ ერთხელ მაინც არ აუტეხა სროლა რვაასი კილომეტრის მანძილზე?

— ეს ყველაზე გასაგები შეკითხვაა! „შტიგლიცს“, რომლითაც ის მოფრინდა, აქვს ბიპლანის ისეთივე აუკრეფავ-ბორბლებიანი კოლოფი, იგივე საჭიმები და ვარსკვლავისებური ძრავი, როგორიც ჩვენს „უ-2-ს“, მასთან ისევე თუხთუხებს და უსტვენს კიდეც! გერმანელმა, ალბათ, იცოდა ჩვენი საშტატო მარშრუტი, რომლითაც დღისითა და ღამით მიმოდის ჩვენი „უ-2“ და სასწრაფო შემთხვევებში არ წარმოადგენენ წინასწარ განაცხადებს, არამედ უბრალოდ რეკავენ ტელეფონით. ჩემთვის ჯერჯერობით ერთადერთი რამ არაა ნათელი: გამოიყენა მან ეს დაუდევრობა, თუ უბრალოდ შემთხვევით მოარტყა მიზანში.

— კარგი და კეთილი, მზვერავო; ახლა ეს მითხარი, სადაა ამჟამად ეს მფრინავი აპარატი?

— მოგახსენებთ. თვითმფრინავთან უკვე ოცი წუთია, რაც გაიგზავნა საველე ყარაული. ნაბრძანებია, საჰაერო არმიის წარმომადგენელთა მოსვლისას თვითმფრინავი გადავცეთ მათ... მე ვთხოვე პოდპოლკოვნიკს, ნადავლი დაეტოვებინათ ბატალიონში, მაგრამ მან... საერთოდ, არც კი მიპასუხა! ჯერჯერობით ნაბრძანებია, ფოტოგადაღების შემდეგ ისე შევნიღბოთ, რომ მშობელმა დედამაც ველარ მიაგნოს!

დაზვერვის უფროსის უკანასკნელ სიტყვებზე მოადგილე შეშფოთდა:

— ვშიშობ, რომ თქვენი პინკერტონები თვითმფრინავის შესანიღბავად გასჩეხავენ დეიდის მთელ სიმინდს, სწორედ იმ დეიდის ყანას, რომელმაც დაატყვევა ეს ფაშისტი დეზერტირი!

ვერც კი მოასწრო მან ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ შტაბის წინ მოედანზე თავსაფრის მორცხვი სწორებით გამოვიდა დეიდა პელო.

ცალკე ბატალიონის მეთაური, მეზღვაურ ქვეითელთა პოდპოლკოვნიკი კიბით ჩამოეშვა მეორე სართულიდან, მივიდა დეიდა პელოსთან, აიღო მისი პატარა, გამხდარი, დაკოჟრებული ხელები, თავი დაბლა დახარა და ზედ ეამბორა ისე, როგორც ოდესღაც კოცნიდა თავისი განსვენებული დედის ხელებს.

სამეურნეო ნაწილის უფროსი, მაიორი, ეროვნებით ქართველი, სწრაფად და რატომღაც ჩურჩულით უთარგმნიდა დეიდა პელოს ბატალიონის მეთაურის სიტყვებს:

— ყველა მეზღვაურის სახელით მადლობას გიძღვნით, ძვირფასო დედა! მადლობთ გერმანელის მოყვანისა და თვითმფრინავისთვის. დღესვე ვაცნობებთ უფროსებს თქვენს პატრიოტულ საქციელს, ახლა კი გთხოვთ [illegible] ჩვენი სტუმ[illegible] დანაყრდით, შემდეგ კი შინ მიგიყვანთ.

პოდპოლკოვნიკმა დაიხურა ქუდი და მკაცრად წარმოთქვა:

— არავინ გაბედოს შეკითხვებით მისი შეწუხება (უკანასკნელი სიტყვები, უწინარეს ყოვლისა, აშკარად მზვერავის მისამართით იყო თქმული. დაზვერვის უფროსი წამოჭარხლდა და მეზღვაურთა ზურგს უკან მიიმალა). — და თუ რაიმე დაგჭირდეთ, დედილო, მაშინვე გვითხარით. აქ ბევრნი ვართ, დაგეხმარებით!

ბატალიონის მეთაურის სიტყვის პასუხად მის წინ მშვიდად მდგარმა მოხუცმა წყნარად წარმოთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა:

— სიმინდი!

— მშვიდად იყავით, დედილო! უკვე გავგზავნეთ ბიჭები თქვენი ყანიდან თვითმფრინავის გამოსათრევად. მასთან, მოსავალსაც ავიღებთ. ახლა კი ისაუზმეთ!

— რატიანო! გაუმასპინძლდით ძვირფას სტუმარს! და არ გაბედოთ იმის გადათარგმნა, რასაც შემდეგ ვიტყვი. წაუღეთ მას რამდენიმე ტომარი სურსათი სამეურნეო მარაგიდან, გაუსუფთავეთ ეზო, შეუკეთეთ ღობე და სახლის სახურავი და ყველაფერი, რაც საჭირო იქნება. მაგრამ ისე, რომ თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს! ხომ გესმით! თორემ თვალით არ დამენახოთ!

შემდეგ ხმამაღლა მიმართა ყველას:

— ამიერიდან ბატალიონი შეფობას იღებს დედაზე! შეგიძლიათ ეს გადაუთარგმნოთ. იმედია, ამხანაგები წინააღმდეგნი არ იქნებიან! აბა, რას იტყვით, ზოლიანებო?

ბატალიონის მეთაურმა შეათვალიერა ირგვლივ მდგარი მეზღვაურები.

ესენი იყვნენ ჯერ კიდევ ვლადისლავოვკასთან მებრძოლი მეავტომატენი, ფედიუხინის ბორცვებზე მდგომი ტანკსაწინააღმდეგო იარაღის მსროლელი რაზმელები და მეზენიტენი, გემების კომენდორები, მზვერავები და მოხალისენი, მოსულნი გემ „ჩერვონაია უკრაინიდან“, რომელიც ეხმარებოდა მათ თავისი ბათქებით ოდესის შადრევნებთან, ხოლო შემდეგ დაიღუპა სამხრეთის ყურეში; ესენი იყვნენ მეზღვაურის სამოსიანი ადამიანები, რომელთაც განიცადეს ოდესის მთელი ეპოპეა, შემდეგ ზღვა-ზღვა წამოვიდნენ სევასტოპოლში და იბრძოდნენ მის ნანგრევთა ქვებისათვის გენერალ ივანე პეტროვის გმირული ზღვისპირეთის არმიის შემადგენლობაში; მერე მათ თავი მოუყარეს ნოვოროსიისკში და ახლა იცავდნენ შავი ზღვის ფლოტის უკანასკნელი ბაზის მისადგომებს ხობის, ოჩემჩირისა და პალიასტომის რაიონში...

დედაბერი იმდენად პატარა, მშვიდი და წყნარი იყო, რომ ამ ადამიანებმა როდი დასძახეს ხალისიანი „ვაშა“, თუმცა თვითეული ისე მოხარული იყო, თითქოს აქ მშობელი დედა იპოვაო. მათ თავშეკავებულად, თითქმის ჩურჩულით, უწესრიგოდ უპასუხეს:

— აუცილებლად!

— აბა სხვაგვარად როგორ იქნება!

მზრუნველობითა და ყრუ ხმით წარმოთქმულ ყველა ამ რეპლიკის აზრი შეუძლებელია გულზე არ მოხვედროდა დეიდა პელოს, და მაინც ირგვლივ ჩამოვარდნილ მდუმარებაში ყველას მკაფიოდ შეეს-

მა იგივე სიტყვა: „სიმინდი“. მაშინ პირველ მწკრივში მდგომ ზემდეგმეავტომატე კისელიოვს დაავიწყდა ბატალიონის მეთაურიც და სუბორდინაციაც, მიიჭრა დეიდა პელოსთან, გრძნობამორევით ჩამოართვა ხელი და სუნთქვაშეგუბებულმა წამოიძახა:

—აბა, რას ამბობ, დედილო, რას ჩააცივდი სიმინდს? არა თუ თითო ღერობით ავილებთ და შევკონავთ, არამედ სულ მთლიანად დაგფარავთ ამ სიმინდით...

— კისელიოვ! დაეხსენ! უნდა იცოდე: ეს სიმინდია მაგის მთელი ავლადიდება. ხომ დაინახეთ, როგორ ცხოვრობენ აქ? ახლა მამაკაცები ომში არიან. ამათ თუ სიმინდი ექნათ, ცხოვრებაც იოლი იქნება. თუ არა და, ძალიან გაუჭირდებათ. მან კი რა იცის თქვენზე? რომ თქვენ კარგი ბიჭები ხართ? ეს ცოტაა! სიმინდს სხვაგვარი მოვლა უნდა, მეტადრე იქ, სადაც ყოველი ტარო აღრიცხულია! ვინაა გაგზავნილი ნაკვეთში?

—ნებას დამრთავთ მოგახსენოთ? მთელი შემცვლელი განყოფილება, გუშინ რომ ბლინდაჟების ასაგებად გამოიყო.

— სიმინდისათვის კი დამატებით გამოჰყავით ორი მეზღვაური, კარგი იქნებოდა მოლდაველები. საქმე ეცოდინებათ! და ჩვენი დეიდის ბრძანებას ისე უსმინეთ, თითქოს იგი მე ვიყო! რასაკვირველია, რაც მხოლოდ სიმინდს შეეხება! გასაგებია?

— გასაგებია, — შეესიტყვა აქამდის მდუმარე რატიანი. — მაგრამ ნება მიბოძეთ თვითონ ვუგდო ყური, თორემ აქაურ ჩვეულებებს არ იცნობენ, ხომ იცით თვითეულს, ვინც მის სახლში ფეხს შეადგამს, დეიდა უნდა გაუმასპინძლდეს, სტუმარივით მიიღოს და... განადგურდება.

— კარგი, წადით. მხოლოდ მეზღვაურებს ეს ჩვეულება ისე თავაზიანად აუხსენით, რომ ქალმა ვერ შენიშნოს.

პოლკოვნიკი მიუბრუნდა დეიდა პელოს და მიიპატიჟა მაგიდასთან, სადაც მზარეული უკვე უჩუმრად შლიდა სუფრას „ერთი კაცისთვის“, და ბოდიში მოითხოვა, სამსახურის გამო უნდა მოგშორდეთო...

მთელი დილის განმავლობაში პირველად აემღვრა გუნება: სამსახურებრივი მოვალეობის გამო უნდა ესაუბრა ბარონ ეშლენბურგთან. ეს წინასწარ სევდას გვრიდა მას.

დაკითხვა მიმდინარეობდა ზემოთ, შტაბის ერთადერთ ოთახში, რომელიც იმავე დროს მეთაურის კაბინეტიც იყო. როცა ყველანი ჩამოსხდნენ, ბატალიონის მეთაურმა ნება დართო დეზერტირიც დამჯდარიყო.

გერმანელმა იცოდა ასიოდე რუსული სიტყვა. ბატალიონის მეთაურმა — ორჯერ მეტი გერმანული. ამდენივე იცოდნენ ერთად მოადგილემ და შტაბის უფროსმა. მწვერავის მუხლებზე უმწეოდ იდო სქელი გერმანულ-რუსული ლექსიკონი.

ამისდა მიუხედავად, ექიმის დახმარებით, დაკითხვა ადვილად მიმდინარეობდა.

დაკითხვის წინ ბატალიონის უფროსმა დასწერა ბარათი და მაგიდის იქით გადასცა შტაბის უფროსს.

გერმანელი ცდილობდა მხნედ ყოფილიყო. თავი ისე ეჭირა, თითქოს ბარათს ვერ ამჩნევდა, მაგრამ გაიფიქრა: აუცილებლად მაწამებენო.

„მათ შეუძლიათ დაბომბონ თვითმფრინავი, და ნაფოტებად აქციონ, ოღონდ ჩვენ არ ჩაგვივარდეს იგი ხელში. ვიცი ასეთი შემთხვევა“, — გაკრული ხელით დასწერა ბატალიონის მეთაურმა.

საუბრის პროცესში დაუბრუნდა მას იგივე ბარათი და მეორე მხარეზე უფრო მოკრძალებული ხელით გამოყვანილი იყო პასუხი:

„მოგახსენებთ. დილიდანვე კოდორის სამხრეთით ფაშისტთა არც ერთი თვითმფრინავი არ გამოჩენილა. როგორც წინადღით, ახლაც ტუაფსეს დასტრიალებენ თავს. შესაძლოა, უკვე ეძებენ ამ თვითმფრინავს. მაგრამ არა აქ“.

ეშლენბურგი ცდილობდა ყურადღება არ მიექცია ქალალდისათვის, მაგრამ ვერ ახერხებდა და ფიქრობდა: „შესაძლოა, არ მაწამონ“.

— გვითხარით, უფროსო ლეიტენანტო, ხომ არ გაგიფუჭებიათ მანქანა იქიდან გამოსვლისას?

— აბა, რას ბრძანებთ? ამას რას მეუბნებით, ბატონო პოლკოვნიკო! ის იდეალურ მდგომარეობაში იყო, მხოლოდ შიგ ერთი წვეთი ბენზინიც აღარ დარჩა! ჩემი განზრახვა...

— თქვენი განზრახვების შესახებ — შემდეგ! თუ სწორად გავიგე თქვენი ნათქვამი, ახლა რომ შიგ ბენზინი ჩავასხათ, ფრენას შეიძლებს?

— ფრენას? სად?

— ეს არც ისე მნიშვნელოვანია. გეკითხებით, შეიძლება თუ არა იმით აფრენა იმ ადგილიდან, სადაც ის დასტოვეთ?

— როგორ არა! უეჭველად, მხოლოდ საჭიროა ბუჩქებიდან მისი გამოთრევა! იმით ბავშვიც კი შეძლებს გაფრენას. იგი თითქმის თავისით ფრინავს. ესაა „ფოკე-ვულფ-44“. თქვენი „უ-2-ს“ მსგავსი, მაგრამ სათამაშოსავითაა მორთულ-მოკაზმული.

— გასაგებია! განვაგრძოთ! მე უნდა ვიცოდე, ვისთან მაქვს საქმე, და პირადად თქვენგან მინდა გავიგონო, რამ გაიძულათ ფრონტის ხაზზე გადმოფრენა. ამის შემდეგ გაგგზავნით დანიშნულებისამებრ, რადგან, გულახდილად რომ გითხრათ, მე თქვენ არ მესაჭიროებით!

„მაშასადამე, აქ არ მომკლავენო“, — შვებით გაიფიქრა ეშლენბურგმა, სკამიდან წამოხტა, ქუსლები ერთმანეთს მიარტყა და შეკრებილთ თავი გააცნო:

— ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ მე ვარ — ბოდო-ერიქ-კურტ-მარია-ადოლფი — ბარონ ეშლენბურგ ცუ-განდჰეიმების შთამომავალი და ერთადერთი მემკვიდრე. ჩვენი გვარეულობის გენეალოგია ცნობილია 1156 წლიდან ლა-როშფუკოს სახლის ფრანგ მფლობელ თავადთაგან. ჩვენ ჩაწერილნი ვართ გოთას ალმანახსა და პრუსიის თავადაზნაურთა 1696 წლის წიგნებში... მაგრამ ჩვენა ვართ ბრანდერბურგელ ეშლენბურგთა არა უფროსი შტოს შთამომავლები, არამედ უმცროსის კენიგსბერგელ...

ბატალიონის მეთაურმა, რომელიც ფანჯრიდან ეზოში იყურებოდა, სერიოზული სახით შეაწყვეტინა ბარონს:

— სამწუხაროდ, ჩვენ, მეზღვაურებს, ყოველთვის წესიერად როდი გვიგზავნიან გოთას ალმანახის გამოცემებს. ამიტომაც (აქ ბატალიონის მეთაურმა მკაცრი კილოთი განაგრძო) ინებეთ მოკლედ მოგვახსენოთ წინაპრებზე კი არა, არამედ თვით თქვენს თავსა და თქვენს სამსახურზე; ხოლო, რაც მთავარია, რა ბედნიერ შემთხვევას მივაწეროთ თქვენი აქ ყოფნა?

ბარონი, ალბათ, მოელოდა, რომ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა თავისი წინაპრებით. მას სიტყვა გაუწყდა, დაჯდა და ძაღლური თვალებით სახეში შეაცქერდა ბატალიონის მეთაურს, თითქოს გუნებაში გვირილის ფურცლებს წყვეტდა: „მომკლავენ, არ მომკლავენ? მაწამებენ, არ მაწამებენ?“.

— დავიბადე კენიგსბერგთან ახლოს საგვარეულო მამულში. ომმა გადაგვადებინა უკვე დათქმული ქორწილი ბარონ შნეკ ფონ-შპანბერგის ასულთან; ამ ბარონის ადგილ-მამული ზედ ეკვრის ჩვენსას რუსეთის ყოფილ საზღვრებამდე...

ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში იოკებდა გულისწყრომას, მხოლოდ ის უნდოდა ეკითხნა, რატომაა ნათქვამი „ყოფილ საზღვრებამდეო“, მაგრამ ამ დროს ოთახში შემოვარდა აქოშინებული რატიანი და წამოიძახა:

— პელო იმერლიშვილი არაფერს სჭამს, და ტირის!

დაზვერვის უფროსმა გამანადგურებლად გადახედა მას და ელოდა, ბატალიონის მეთაური ახლა გაჯორავს რატიანს დაზვერვითი სამსახურის ყველა წესთა ასე უხეშად დარღვევისათვის. და მართლაც, ბატალიონის მეთაური აღშფოთდა, მაგრამ ეტყობოდა, სულ სხვა გარემოების გამო.

— ალბათ, ამ ხეპრეებმა იმ ადამიანს ერთი კვირის სამყოფი სურსათ-სანოვაგე დააყარეს თავზე!

— სწორედ ასეა! მან ასე თქვა: „ამდენი ჭირი რად გააფუჭესო...“ და კიდევ ისიც თქვა, პირში ერთ ლუკმასაც ვეღარ ჩავიდებ, რადგან დღეით უკვე ჭადი [illegible] —

— გასაგებია, აატორიაქეთ მოხუცი! თვითონვე ვერ გაითვალისწინეთ ვერაფერი და ახლა თვითონვე გამოასწორეთ საქმე! წადით!

რატიანი გავიდა, და ბატალიონის მეთაურმა მაინც ვერ გაიგო დეიდა პელოს ცრემლების ნამდვილი მიზეზი.

საქმე იმაში იყო, რომ რამდენიმე დღის უკან ის სხვა მოხუც დედაკაცებთან ერთად წავიდა ზემო ჭალადიდში გზის მეთვალყურეთაგან დაკავებულ ყუბანელ ლტოლვილთა ბანაკის სანახავად. ვიღაც არამზადებმა სოფლად გაავრცელეს ჭორი, გერმანელებმა გამორეკეს რუსები ყუბანიდან, ახლა ისინი გადმოესახლებიან დასავლეთ საქართველოში და იქ მათ საუკეთესო მიწა-წყალს დაურიგებენო. მაგრამ, როცა დეიდამ შეხედა ამ მტვერით, შიმშილითა და მწუხარებით არაქათგაცლილ ადამიანებს, დედებს, რომლებიც ძუძუთა ბავშვებს პირში ჩრიდნენ სიმინდის ფაფაში ამოვლებულ ჩვრებს, მიხვდა, რომ ეს ადამიანები მოდიოდნენ მდუმარედ და არავის არაფერსაც არ თხოვდნენ, მათ არც შეეძლოთ და არც ისურვებდნენ რაიმე წაერთმიათ დეიდა პელოსთვის. ახლა კი, როცა დაინახა მარტოოდენ მის წინ დაყრილი უამრავი პური, შაქარი და ხორცი, იმ დროს, როცა ის ლტოლვილები, ალბათ, კვლავ განაგრძობდნენ სვლას სადმე რიონის პირას, ვერ მოითმინა და მთელი დღის განმავლობაში პირველად ატირდა: ლუკმა ყელში არ გადადიოდა...

ამასობაში შტაბში გრძელდებოდა საუბარი:

— ახლა ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, თუ ვინა ხართ თქვენ. გვიამბეთ, რამ აგიძულათ სადეზერტიროდ?

— სამწუხაროდ, ეს საკმაოდ გრძელი ისტორიაა.

— მერე რა ვუყოთ, უნდა მოვისმინოთ, მხოლოდ გთხოვთ, ნუ გადაუხვევთ.

— მესმის, ბატონო პოლკოვნიკო! ნება დამრთეთ მოგახსენოთ, რომ მე გავყევი მამიჩემის კვალს და კორპუსის შემდეგ ჩავირიცხე ფელდმარშალ ფონ-მაკენზენის სახელობის ჰუსართა პირველ პოლკში, ისე რომ სამსახურიდან გადადგომის შემდეგ დავბრუნებულვიყავ კენიგსბერგში. მე ვარ ცნობილი მოჯირითე და ჩოგბურთელი და ყველაფერი კარგად მოეწყობოდა, მაგრამ რატომღაც მოდაში შემოვიდა ავიაცია. არ ვიცი, პირველმა ვინ მოიგონა ეს სისულელე, მაგრამ დიდ შნოდ და ლაზათად მიაჩნდათ ის ამბავი, თუ ახალგაზრდა კორნეტები საფრენოსნო სკოლაში შევიდოდნენ. და აი მე გავხდი მსმენელი კენიგსბერგის ნაციონალური საავიაციო სკოლისა, რომელიც დავამთავრე პოლონელებთან ომის წინ. მიუხედავად იმისა, რომ ხმელეთზე პირველხარისხოვან სპორტსმენად ვითვლებოდი, ჰაერში ბედი არ მწყალობდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ომის დაწყებისას მე ვიყავი ლიუფტვაფეს ლეიტენანტი და, ჯანდაბას ჩემი თავი, პირველ ხანებში როდი მაწუხებდა ეს გარემოება. გამანადგურებლად მე არ ვვარგოდი, და დავყიალებდი ხან სადაზვერვო რაზმეულებში, ხან სატრანსპორტო ავიაციაში — ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, თვით პარიზამდის, სადაც ვიღაც სულელმა შემჩარა „იუ-87“ მოპიკირეთა პოლკში. თქვენ, ხომ გეცნობებათ ეს მანქანა აუკრეფავი ბორბლებით? იქ მუშაობას აიტანდა კაცი, მაგრამ ესკადრილიის უფროსად აღმოჩნდა ჰანს მიულერი. ეს ესკადრილია ახლა პოლკადაა გაშლილი. მიულე-

რი იყო ყველაზე დიდი ხეპრე მთელს ლიუფტვაფეში და მასთან —ყასბის შვილი, რასაც სათოფეზე იგრძნობდით. მართალია, აუარებელი ჯვარ-მედლებით ჰქონდა მკერდი დაფარული და „იუ-87“-ზეც ყოველგვარ ოინებს აკეთებდა, მაგრამ მამამისი ყასაბი იყო მიუნხენში. შვილი კი ნოქრად ედგა დუქანში. და მხოლოდ იმიტომ, რომ 1928 წლიდან ნაცისტთა პარტიაში ითვლებოდა, ძალიან დაწინაურდა! რა მენაღვლება, დაწინაურდეს, როგორც უნდა და სადაც უნდა! მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ მიულერმა ამითვალწუნა და ყოველმხრივ მამცირებდა დანარჩენების თვალში, წარმოიდგინეთ, ისეთებთანაც კი მიგდებდა აბუჩად, როგორიც თვითონაა! თითქმის მწყობრის წინაშეც კი! და აი ახლა თქვენ ხედავთ ყველაზე საზიზღარი შევიწროების მსხვერპლს. მიულერი მაძლევდა საძაგელ ატესტაციებს და, მასთან, არ მიშვებდა არც ერთ სხვა ნაწილში. იგი იმდენად მიეჩვია ჩემს აბუჩად აგდებას, რომ უჩემოდ სევდისაგან სული ამოხდებოდა. გარდა ამისა, ვეჭვობ, რომ იგი ამანათებს ღებულობდა მამიჩემისგან. თუმცა მიცვალებულივით დუმდა! თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ ფიურერმა აკრძალა დუელი, თორემ იმ არამზადას ვუჩვენებდი სეირს!



აქ მთხრობელმა თვალები დაატრიალა და ტკაცანით დახურა პორტსიგარი — მიულერის გახსენება აშმაგებდა მას.

— და თქვენ აქამდის არ მეთაურობთ რაზმს, ანდა თუნდაც რგოლს? გაქვთ კრიტოსისა და ყირიმის ნიშნები და რკინის ჯვარი კი არ მიგიღიათ? ყველაფერი ეს რაღაც უცნაურია...

—სწორედ ასეა. თქვენ ყველაფერს მიხვდით, ბატონო პოლკოვნიკო! სწორედ ასეა! უცნაურია, თავის მოჭრაა, შეურაცხმყოფელია და აუტანელი...

ეშლენბურგმა მიიღო დრამატიზმით აღსავსე სახე, თავი ჩაქინდრა და ხელებით დაიფარა იგი. თან თითებს შორის იჭვრიტებოდა, უნდოდა გაეგო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა აღსარებამო.

— კარგი! მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ არ გითქვამთ, როგორ აღმოჩნდით სიმინდის ყანაში, თქვენი ბაზიდან თითქმის რვაასი კილომეტრის მანძილზე? იგი ხომ ხადიჟენსკაიაშია, თუ არ ვცდები?

— სწორედ ასეა, ხადიჟენსკაიაშია, თუმცა მე, როგორც გერმანიის ლიუფტვაფეს ოფიცერს, ფიცი მაქვს მიღებული და ჩემგან ვერავითან სამხედრო საიდუმლოს ვერ გაიგებთ, თვით წამებითაც კი!

— როგორ თუ წამებით? განა ვინმემ შეურაცხგყოთ რაიმე მოქმედებით იმ წუთიდან, რაც ჩვენს ხელში აღმოჩნდით?

— ო, არა, ბატონო პოლკოვნიკო! დაგიდასტურებთ, რომ მეტად თავაზიანად მეპყრობოდნენ. მხოლოდ დილით იმ მოხუცმა დედაკაცმა მომიქნია თავისი იარაღი, მაგრამ ისე სწრაფად გადავაგდე ჩემი „ვალტერი“, რომ შეტაკება არ მომხდარა.

— კარგი და პატიოსანი! ახლა დავამთავროთ! რატომ გადმოფრინდით!

— ბატონო პოლკოვნიკო, მე უნდა გაგიმხილოთ ერთი, არა სახელმწიფოებრივი და სამხედრო, არამედ პოლკის საიდუმლო და გთხოვთ სწორედ გამიგოთ! ოთხ ოქტომბერს ჩვენი „იუ-87“-ის ხუთეულმა, რომელიც ეხმარებოდა ლენცის ჯგუფის შეტევას ტუაფსეს წინაალმდეგ და რომელსაც მიუძღოდა თვითონ მიულერი, მდინარე ტუაფსინკის ხეობაში გზატკეცილზე შენიშნა თქვენი მანქანების ჯგუფი და რამდენიმე გენერალი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ბრძოლის მსვლელობას. მე აღარ მახსოვს მათი გვარები, მაგრამ ისინი გამოქვეყნებული იყვნენ ჩვენს ცნობებსა და გაზეთებში. მიულერმა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეითელებთან ჰქონდა შეთანხმებული მიზანი, დაარღვია საბრძოლო ბრძანება, დაეშვა მთელი ხუთეულით და მოსპო და გაანადგურა მანქანები და გენერლები. ბედი სწყალობს იმ არამზადას! მეორე დღეს დაზვერვამ დაადასტურა მისი წარმატება! ამ წარმატებასთან დაკავშირებით, ამ დღეებში გავიგეთ, რომ კორპუსის მეთაურის წარდგენით რაიჰსმარშალმა მიულერი რაინდის ჯვრით დააჯილდოვა. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ, ჯვარი და პოლკოვნიკის ჩინი! როცა ეს გავიგე, — მე კი ამუამად მაიკოპში მდგარ ჯგუფის შტაბში მყავს ორი კენიგსბერგელი მეგობარი, — ძილი გამიკრთა. დამებადა შურისძიების გეგმა, და გადავწყვიტე: ახლა ან არასოდეს-მეთქი! ნება მიბოძეთ პაპიროსი მოვწიო, ძალიან ვღელავ!

— კარგი, მოსწიეთ, მხოლოდ ამიხსენით, რაში გამოიხატებოდა თქვენი შურისძიების გეგმა?

— განა ვერ მიხვდით! აბა, წარმოიდგინეთ, რა მოუვა იმ გაბერილ გერინგს და რა დაემართება ჩემი პოლკის მეთაურსაც, როცა რაინდის ჯვრის საზეიმოდ მიღების წინ მოახსენებენ, შენი ნაწილიდან ბოლშევიკებთან გადაფრინდა ოფიცერი და მასთან შენი პირადი თვითმფრინავითო! დიახ, იმას არა თუ მარტოოდენ სამხრეულებს აგლეჯენ, შარვალსაც კი ჩააძრობენ! ეს იქნება „ტაბლო“, როგორც იტყვიან ფრანგი გოგონები. ვაღიარებ, არ ვისურვებდი მის ადგილზე ყოფნას! ჰა-ჰა! რას არ ვიკისრებდი. ოღონდ ერთხელ მაინც დამენახა ეს სურათი!

ბატალიონის მეთაური მივიდა ფანჯარასთან და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მეზღვაურთა ფუსფუსს მოძრავი რაციის გარშემო.

— აქვს თუ არა ვინმეს კიდევ რაიმე შეკითხვა?

ბატალიონის მეთაურმა ისეთი კილოთი წარმოთქვა ეს ფრაზა, რომ გერმანელმა ყურები დაცქვიტა. იქნებ, რაღაც ისე ვერ თქვა, როგორც საჭირო იყო. მერე რას უზამენ? მოკლავენ — თუ არ მოკლავენ? აწამებენ თუ არ აწამებენ?..

— მე მაქვს შეკითხვა! — წარმოთქვა მოადგილემ.

—გვითხარით, რას გიზამენ გერმანელები, ხელში რომ ჩაგიგდონ?

— ვფიქრობ, ჩამომახრჩობენ! — მაგრამ ვიცოდი, რასაც ჩავდიოდი. შეგნებულად და პრინციპულად გავწიე რისკი!

— როგორ თუ პრინციპულად?

— დაეხსენ, მაიორო! ნუ გავაჭიანურებთ ამ საუბარს...

და ბატალიონის მეთაურმა ხელი წაავლო აწკრიალებულ ტელეფონის მილს: — არის! გასაგებია! თხუთმეტი წუთის შემდეგ შესრულებული იქნება! არა! ყველაფერს მოვაგვარებ!—იგი მიუბრუნდა მოადგილეს. — ხედავ, როგორ გვაჩქარებენ! ყველას სურს გაეცნოს ლა-როშფუკოს ნაშიერს პრუსიული ვარიანტით.

ბატალიონის მეთაურმა შვებით ამოისუნთქა, როცა მის ზურგს უკან თავაზიანად მიწყდა ფეხის ხმა. სურდა მარტოდ დარჩენილიყო და აღარ დაენახა ეს ახირებული და საზიზღარი დეზერტირი.

დაზვერვის უფროსი იმედგაცრუებული დაუყვა კიბის საფეხურებს. იგი უკმაყოფილო იყო დაკითხვით. სინამდვილე უფრო გასაოცარი და სულელური აღმოჩნდა, ვიდრე ყველა მისი წინასწარი ვარაუდი.

ბარონესა შნეკ ფონ-შტანბერგის აულაყუდა საქმრომ პირველმა შეადგა ფეხი ეზოში და უცბად მთელი ტანით შეკრთა, უკანვე გაეშურა და მეორე სართულის ღია კარში გასძახა:

— ათასი ბოდიში, ბატონო პოლკოვნიკო!

ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან გამოჩნდა ბატალიონის მეთაურის ზორბა ფიგურა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ ერთბაშად ვერ მოვიფიქრე, მაგრამ აღშფოთებული ვარ და ერთი წუთით გთხოვთ ყურადღებას.

— თქვით!

— საქმე ისაა, რომ იმ არამზადა მიულერისაგან ყოველგვარი საძაგლობაა მოსალოდნელი! თქვენ ხომ ხვდებით! ესაა უსინდისო ადამიანი, იგი ასე ადვილად როდი დათმობს ჯვარსა და ჩინს. ვშიშობ, მოახსენებს, სადაც ჯერ არს, თითქოს მისი „შტიგლიციანად“ საბჭოთა გამანადგურებლების მსხვერპლი შევიქენ. მე ხომ ველარ მიპოვნიან, „ფოკევულფ-44“-საც ვერსად მიაგნებენ, მაშასადამე, ყველაფერი სიმართლეს დაემსგავსება! თქვენ კი იცით, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ რაინდის ჯვარს და ჩინს მაინც მიიღებს! მერე კიდევ ჩემი ბებერი ვირიც ფასიან საჩუქარს გამოუგზავნის ჩემდა სახსოვრად.

— რა გინდათ ახლა ჩემგან!

— უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო პოლკოვნიკო, მიიღეთ ზომები, რათა ფელდმარშალ კლაისტის არმიის ჯგუფში, რუოფის მე-17 არმიაში, 44-ე კორპუსში; ლენცის ჯგუფსა და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, დაუყოვნებლივ გაიგონ ჩემი გადმოფრენის ამბავი.

— კარგი! თქვენი თხოვნა შესრულებული იქნება. ჩვენ რადიოთი, ფურცლებით და საერთოდ ყველა საშუალებით ვაცნობებთ ამ ამბავს გერმანელთა ჯარებს. ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ გერმანიის ავიაციის მებრძოლი პოლკოვნიკი განიდევნოს მისი რიგებიდან. ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ საბჭოთა არმიამ, ისე როგორც გერმანიის არმიამაც, იცოდეს, რომ უკანასკნელთა რიგებიდან დეზერტირობენ ბარონთა შვილები, რომ მის რიგებში არიან... თუმცა დანარჩენი არაა მნიშვნელოვანი!

იმისდა მიხედვით, თუ როგორ მკაფიოდ და ზიზღით წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას მძულვარები-

# ურთულესი ფინიში!



508 კილომეტრი! ეს მანძილი გაიარა ყარადაღ-თბილისის გაზსადენის ტრასამ, რომელიც 10 თვეში განახორციელეს მშენებლებმა. გაზსადენი მილების ესტაფეტური რბოლა დამთავრდა თბილისში ცისფერი ჩირაღდნის ანთებით. მშენებლობის პერიოდში გადალახულ იქნა 93 დაბრკოლება,—მათ შორის 72 ხევი და მდინარე! ყველაზე ურთულესი იყო მშენებლობის ფინიში,—მდინარე მტკვრის გადმოლახვა. სწორედ ამ ეტაპს ასახავს ქვემოთ მოთავსებული ფოტოსურათები.

ცვლა დამთავრებულია, გაზსადენი მილების იზოლატორების ბრიგადა შინისკენ მიიჩქარის.



ბრძოლა მდინარესთან.



მტკვრის ფსკერზე წყალქვეშელების მეთვალყურეობით ითხრებოდა ტრანშეა გაზსადენი მილების ჩასაწყობად.



უკანასკნელი საყრდენი ბურჯი და გაზსადენი ყარადალი—თბილისი მტკვარს გადმოაბიჯებს.




ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

მედეა კახიძე

## ციცინათელა

გაჩენიდან გულზე ცეცხლი გიკიდია
არაოდეს მინახიხარ დამწვარი,
მე მერჩივნა ერთიანად გადაბუგვა,
დავიწვა და ჩემგან დარჩეს ნაცარი.
თვალღია ხარ და ბრმასავით დაფათურობ,
არვის ჰქირდავ, არცა ვინ გაქილიკებს,
ბნელ ღამეში პაწაწინა სანათურით
იჩირაღდნებ ჩაბნელებულ ბილიკებს.
ღმერთო ჩემო, ამანთე და მანათელე,
მგზავრს ვშველოდე ჩემი ცეცხლის კანკალით,
არა ისე, როგორც ციცქნა ციცინათელამ
მხოლოდ ჩემს თავს გავუნათო გზაკვალი!

* * *

წახველ და ამ ბაღის უბეში
ფრთებგაჭრილ პეპელად დავრჩი,
შენს საწერ მაგიდის კუთხეში,
როგორც გაკიცხული ბავშვი.
დგას თავჩაქინდრული ლამპა
გარეთ კი ვით თოვლის პაპა,
თავს ქინდრავს მოწყენილი ფიჭვი,
უშენოდ ამ ქუჩას, ამ სახლს,
სამივეს გვიჭირს.
აღარც ღიმილი და ნუგეში,
დუმს ტვერის პატარა ბაღი,
და ვდგავარ შენი გულის კუთხეში,
როგორც გაკიცხული ბაღღი.

პ. გოჯიაშვილი

## დგას მოხუცი

დგას მოხუცი, ძვალგამთბარი, გულდამტკბარი;
მინდვრად გასულ მშრომელ ბიჭებს დაჰყურებს;
კოხტა სახლი მთის კალთაზე გადმომდგარი
სულ ახლახან დახურეს.
დგას მოხუცი, აივნიდან უმზერს ვაქებს,
გაზაფხულის მხურვალე მზე ახარებს,
ძირს ჩაჰხედავს,—ბოჩოლებთან მოთამაშე
შვილიშვილებს, პატარებს.
დგას მოხუცი, როგორ შვენის მოხდა ქუდის,
თვალთახედვა ჯერ კიდევ არ ღალატობს,
დგას და უცქერს ფანჯრის თავზე კოხტა ბუდის
მოქლურტულე კალატოზს.
აქეთ-იქეთ დატრიალებს ცოლი, რძალი,
დგას მოხუცი, ჩიბუხს დინჯად გაიწყობს;
გულში ნატრობს: რომ სიცოცხლე ხელახალი
მან დღეიდან დაიწყოს!

თამაზ შათირიშვილი

## ავთანდილობა მინდოდა

ალვები იყვნენ მოწმენი,
როცა ბურჯზე ავქანდი,
ცას შევყურებდი მოწმენდილს,
თავს ვადარებდი ავთანდილს.

თუმც თინათინი არ მყავდა,
არც ვმეგობრობდი ფრიდონთან,
მაინც ვმღეროდი ამაყად,
ავთანდილობა მინდოდა.

## ქარიშხალო!..

იბობოქრე და იშფოთე, ქარიშხალო,
ნაძვნარები დაამსხვრიე ხელუხლები.
იბობოქრე...
დე, შენ ფეხქვეშ გაიშალნონ
ხუთასი წლის ჯანმაგარი ბერმუხები.
ცავ, იჭექე და იღელვე უფრო ძლიერ!—
აბა სცადე, ჩემი გულის ღელვას სძლიე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

საგან გაფითრებული ბატალიონის მეთაური, ბარონის სახეს დასთამაშებდა უფრო და უფრო მკვეთრი ფერების რთული გამა.

— კაპიტან-ლეიტენანტო!

— არის!

— გამოართვით ტყვეს ბოლშევიკებთან ნებაყოფლობითი გადმოფრენის მოკლე განცხადება მარშრუტებითა და თარიღებით. დაამზადეთ ფოტო-ასლები.

...დავალებათა გაცემის შემდეგ ბატალიონის მეთაური ნელი ნაბიჯით გაემართა ზღვისაკენ.

მსუბუქი ნიავი არხევდა ჰაერს. ლურჯი იყო ზღვაც და ზეცაც. ხოლო აქაფებულ ზვირთთა გრძელ-გრძელი ჰორიზონტალური ხაზები ადასტურებდნენ, რომ უშუალო მისასვლელები ნაპირთან არც ისე ღრმა იყო.

ტყის ნაპირას იდგა მოაღგილე პოლიტნაწილში. ის ჩაფიქრებით ეწეოდა თამბაქოს და, თითქოს, უძნელდებოდა იმ უამრავი ნაგავისაგან განტვირთვა, რომლითაც ასე გააჭახირა თავიანთი მსმენელები დღიდა პელოს ტყვემ.

მზვერავს გაეხარდა ბატალიონის მეთაურის შეხვედრა. რადგან წასვლამდე ფრიად ცოტა ხანი რჩებოდა, სასწრაფოდ წარუდგინა თავისი პრეტენზიები. მეთაურმა ვერ გაიგო, თუ „რა შემთხვევას ჰკარგავდა იგი“.

მზვერავი მოითხოვდა: „შტიგლიცი“ დარჩენოდათ მეზღვაურ ქვეითელებს, რათა გაფრენილიყვნენ მაიკოპში მტრის განლაგების ფოტოდასაზვერავად. აქვე ანალიზი გაუკეთა იმ გარემოებას, რომ გერმანიის არმიაში არისტოკრატია ფიურერის წინააღმდეგიაო, და საერთოდ, წამოაყენა სხვა ბევრი ღრმა და ზელოგიკური მოსაზრება.

— ეჰ, მზვერავო, მზვერავო! წადი, სადაც ნაბრძანები გაქვს და საქმე გააკეთე. ხოლო საღამოს, როცა დაცხრები და დაწყნარდები, შემოიარე და მაშინ მოვილაპარაკოთ.

— კარგი! მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია! ამ გერმანელის გადმოფრენა ჩემი ფანტაზია როდია.

— კერძო შემთხვევაა. ამის განზოგადება არ შეიძლება.

— იყოს კერძო შემთხვევა, მაგრამ მაშინ როგორ უნდა შევაფასოთ იგი?

— შენ სულ შეფასებაზე ხარ გაგიჟებული. როგორ, გაზეთში ხომ არ გინდა გასწერო ეს ამბავი? იქნებ სათაური ვერ მოიგონე?

— თუნდაც ასე იყოს.

— დაარქვი მას „მფრინავი არისტოკრატი“, ანდა „მფრინავი დეგენერატი“, ესეც როდია დიდი განსხვავება!

როცა თხუთმეტი წუთის შემდეგ ორივენი შტაბში დაბრუნდნენ, „ვილისთან“ უკვე იდგნენ ახმახი გერმანელი, მეავტომატე და სადაზვერვო განყოფილების მწერალი პორტფელით.

მზვერავმა შეამოწმა ყველაფერი, მიიღო ბატალიონის უფროსის ხელმოწერა და გერმანელი მძღოლს მოუსვა გვერდით. თვითონ კი მის უკან მოთავსდა და შეუმჩნევლად გახსნა რევოლვერის ბუდე — მას მტკიცედ ახსოვდა: რომელიღაც ინსტრუქციის მიხედვით სწორედ ასეა საჭიროო.

ის-ის იყო კაპიტან-ლეიტენანტმა უბრძანა, დავიძრათო, როცა გერმანელმა დაინახა მეორე სართულზე მაგიდასთან მჯდარი ბატალიონის მეთაურის კეფა. იგი წამოხტა, და შესძახა:

— ბატონო პოლკოვნიკო! ათასი ბოდიში!

— სდექ! — ბრძანა მზვერავმა.



გაბრაზებული ბატალიონის მეთაური გადმოეყრდნო ფანჯარას, და მრისხანედ ჰკითხა:

— კიდევ რაღა გნებავთ?

— ბატონო პოლკოვნიკო, გამახსენდა, რომ არსებობს ტყვეთა გაცვლის საერთაშორისო ჩვეულება. ხომ შეიძლება მოხდეს შემთხვევა, რომ გერმანიის სარდლობამ მოითხოვოს ჩემი გადაცვლა ჩემივე მსგავს საბჭოთა მფრინავზე?

— არა! ეს საფრთხე არავითარ შემთხვევაში არ მოგელით, რადგან საბჭოთა მფრინავებს შორის თქვენი მსგავსი არ არსებობს!

თარგმანი ნიკოლოზ აგიაშვილისა.



# დავით სულიაშვილი

75 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალსა და ძველ რევოლუციონერს დავით სულიაშვილს. ორმოც წელზე მეტია, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.

მისი ნაწარმოებები: „ჩიკორი", „ნალვერდალი", „კედელი", „უცხო მხარეში", „დაუცხრომელი გული", „გულმართალი", „ზურაბის ციხე", „თევდორე", „ბავშვობა", „მოწაფეობის წლები", „ათი წელი ემიგრაციაში", „დედა", „ორი ძმა", „მეგობრის სისხლი", „პირველი მაისი" და სხვა დამსახურებული პოპულარობით სარგებლობენ მკითხველთა ფართო წრეებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შეხვედრები ლენინთან, რომელსაც იგი პირადად იცნობდა და მასთან ერთად დაბრუნდა ემიგრაციიდან 1917 წელს. ეს მომენტი დ. სულიაშვილმა ასახა შესანიშნავ ნაწარმოებში „შვეიცარიიდან პეტერბურგამდე ლენინთან ერთად".

დავით სულიაშვილის მოთხრობებში ასახულია რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლთა ცხოვრება, მათი ბობოქარი თავგადასავალი.

თბილისის სასულიერო სემინარია, ლაიპციგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა რევოლუციური მუშაობა, 1905 წლის რევოლუცია, გაქცევა ქუთაისის ციხიდან, ემიგრაცია და ლენინი, აი მწერლის და რევოლუციონერის ცხოვრების ის მთავარი ეტაპები, რაც ასე მიმზიდველადაა გადმოცემული მის წიგნებში.

ყველაფერი ეს თვითონ განიცადა ავტორმა და შემდეგ ცოცხლად და სიმართლით გადმოგვცა თავის ნაწერებში, მასთან ერთად მისი წიგნების მკითხველი დაწვრილებით ეცნობა გასული საუკუნის ბოლო წლებისა და მიმდინარე საუკუნის დამდეგის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

დავით სულიაშვილი არ ივიწყებს ჩვენი ხალხის შორეულ წარსულსაც. „ზურაბის ციხე" და „თევდორე" ისეთი ნაწარმოებებია, სადაც გაცოცხლებულია წინაპართა თავდადებული ბრძოლის ეპიზოდები სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ამჟამად მწერალი მუშაობს ახალ და ვრცელ რომანზე, რომლის სათაურია „გრიგალი ჩრდილოეთიდან". აქ ნაჩვენები იქნება საბჭოთა საქართველოს ბრძოლისა და შრომის პირველი წლები.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დავით სულიაშვილი ენერგიითა და ჯანღონითაა სავსე და ჩვენი მკითხველი მისგან კიდევ მოელის ახალ-ახალ ნაწარმოებებს. ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა მხცოვანი მწერლის დაბადების 75 წლისთავი.

# თბილისის წარსულიდან

ვანო ნაცვლიშვილი

## „ნოვაია ჰოლანდია"

ასე ეწოდებოდა ახლანდელი ყაზბეგის ქუჩის მიდამოებს ვერის რაიონში. ასეთი უცნაური სახელი, ალბათ, იმიტომ შეერქვა, რომ ეს უბანი, უმთავრესად, დასახლებული იყო რუსეთიდან ჩამოსული გლეხებით, რომლებიც ამარაგებდნენ ქალაქის მცხოვრებთ რძითა და მისი ნაწარმით.

იმ დროს ქალაქის ეს ნაწილი გარეუბნად ითვლებოდა. მის არქიტექტურულ ანსამბლს შეადგენდა ერთმანეთზე მიდგმული, თეთრად შეღებილი, ერთსართულიანი წოწოლასახურავიანი სახლები.

მერძეობის გარდა, ამ ქუჩის მოსახლეობა ემსახურებოდა შეძლებულთ მრეცხაობითაც. ქალებს თეთრ ზეწრებში გამოკრული სარეცხი ამოქონდათ ქალაქიდან, რეცხდნენ მას და იქვე ფენდნენ გასაშრობად.

„ნოვაია ჰოლანდიას" მთავარი გმირი იყო მედუქნე, მწითური თედო. ის მთელი დღე იდგა დუქნის წინ— ყარაჩოხელის განიერ შარვალსა და ახალუხში გამოწყობილი, წელზე ვერცხლის „სამგუმბათიანი" ქამრით. დუქნის ფირნიშზე ეხატა ფრთაგაშლილი ანგელოსი — ხელში ყანწით.

თედო ვაჭრობდა წვრილმანით. აქ განსაკუთრებით დიდი გასავალი ჰქონდა მზესუმზირას. კვირაუქმე დღეებში მთელი მოსახლეობა გამოდიოდა გარეთ, დასხდებოდა სახლების წინ გამართულ მერხებზე და თავს irთობდა... მზესუმზირას ჭამით.

თედოს დუქნის წინ ყოველთვისება ერთი ზორბა ყოჩი და, მართლაც ჰოლანდიური ჯიშის მამალი. მთელს ვერაზე განთქმული იყო თედოს ყოჩისა და მამლის სახელი. მათი მომრევი თბილისში არ მოიპოვებაო, გაიძახოდნენ.

რა სიხარული და ჟრიამული შეგვიდგებოდა ამ უბნის ბავშვებს, როცა დავინახავდით ვინმე სხვა უბნელ უცხო კაცს; აი მოდის ის და ჯაჭვით მოყავს ყოჩი, ან ხელში უჭირავს მამალი! ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ დღეს გაიმართებოდა ყოჩების ჭიდაობა ან მამლების ჩხუბი. ეს მთელი დღესასწაული იყო ჩვენთვის.

თედო და ის ყოჩიანი კაცი მოილაპარაკებდნენ, შეთანხმდებოდნენ პირობებზე და სდებდნენ ნაძლევს. შემდეგ თედო თავის ყოჩს მაძღრისად აძლევდა ქერს და უცხო კაცი და ის ადიოდნენ ყაზბეგის ქუჩის ზემოთ, სადაც ახლა 53-ე სკოლის შენობა დგას. ამ სკოლისა და იქ მდებარე ბაღის ფართობზე მაშინ იყო აგურის ქარხანა, სადაც სპარსელები აგურს სწვავდნენ.

შემდეგ ორივენი გამოძებნიდნენ სწორ და მშრალ ადგილს და ერთმანეთზე მიუშვებდნენ ყოჩებს. მომხიბვლელი სანახაობა იყო კარგად შენახული და გაწვრთნილი ყოჩების ჭიდაობა. მოხსნიდნენ თუ არა ჯაჭვებს, ისინი იქვე შეეჯახებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ 10-15 ნაბიჯით უკან-უკან დაიხევდნენ, საშინელი სისწრაფით გამოექანებოდნენ და ახლა ისეთი ჯახანით დაატაკებდნენ ერთმანეთს ნამგალივით მოხრილ რქებს, რომ ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა.

აღელვებული თედო ამხნევებდა თავის ყოჩს ძახილით: — მიდი, ვასოჯან, მიდი! არ შეარცხვინო ვერელები! აბა, ვასოჯან, მიდი.

რამდენიმე ასეთი დარტყმის შემდეგ სხვა უბნელი ყოჩი შეატყობდა, რომ მას სჯაბნიდნენ... კიდევ ორიოდე დაჯახება და ...შერცხვენილი გაიქცეოდა. უნდა გენახათ ამ დროს თედოს სიხარული და ჩვენი უბნელების აღფრთოვანებული ყიჟინა. თედო მივარდებოდა თავის ყოჩს, კოცნიდა, აქეთიქით ატარებდა მას და აძლევდა ქვამარილის მოზრდილ ნატეხს.

აქვე იმართებოდა მამლების ჩხუბიც. მოჩხუბარი მამლები მეტწილად აგურხანაში მომუშავე სპარსელებს ჰყავდათ. ისინი იქვე, მიწურებში ცხოვრობდნენ. თედოს ჯიშიანი მამალი იმდენად მძლავრი იყო, რომ ნუთი წუთის შემდეგ მისი მოქიშპე ბიბილოწაგლეჯილი და მუცელგამოფატრული ეგდო ძირს. პატრონი [illegible] გამხდარა იქვე დაკლა [illegible] მამალი. ასე რომ მზესუმზირა, თედოს ყოჩი და მამალი იყო „ნოვაია ჰოლანდიის" მცხოვრებთა ერთადერთი გასართობი.

## წყნეთის ქუჩა და ფიქრის გორა

ყოფილი წყნეთის ქუჩა იმ დროს იყო მთავარი მაგისტრალი, საიდანაც წყნეთისა და სხვა სოფლების მცხოვრებნი ვირებითა და ჯორებით ეზიდებოდნენ შეშას, ნახშირს, მაწონსა და რძეს. ქუჩის თავში, სადაც შემდეგ აფთიაქი იდგა, მოწყობილი იყო ვირებისა და ჯორების სადგომი ბაკები, რომელიც ეკუთვნოდა თებელა მაისურაძეს და ძმებს მაჰავარიანებს. თითო სულ დასაბმელ საქონელზე ისინი ხუთ-ხუთ კაპიკს ახდევინებდნენ წყნეთელებს...

1895 წელს ამ ქუჩაზე დაიწყო მელვინეობის დიდი საუფლისწულო სარდაფის მშენებლობა, რასაც თანდათან მოჰყვა ორ-სამსართულიანი შენობების აგება. თბილისის იმდროინდელი ტრანსპორტის — „კონკის" უკანასკნელი გაჩერება აქ თავდებოდა, რადგან ვარაზის ხევზე, ახლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, იდო პატარა საცალფეხო ხიდი, რომელზედაც დიდი გაჭირვებით გადადიოდნენ ვაკეში. დღევანდელი უნივერსიტეტის შენობიდან დაწყებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტამდე ცარიელი ადგილი (ვაკე) იყო. ამ ინსტიტუტის ადგილზე იდგა „სოსუას დუქანი". აქ ისვენებდნენ გამვლელ-გამომვლელი წყნეთელები. ვაკეში ხშირად მოდიოდა ქალაქის ახალგაზრდობა ბურთის სათამაშოდ, საჭიდაოდ და „სოსუას დუქანში" საქეიფოდ. განსაკუთრებით დიდი ცეკვა და ჭიდაობა იმართებოდა უნივერსიტეტის ადგილას. უმთავრეს სასეირნო და გასართობ ადგილებად ითვლებოდა ფიქრის გორა და ის ადგილი, სადაც ამჟამად ზოოპარკია. აქ იყო ვერის საქეიფო ბაღები: „ედემი", „ფანტაზია", „ტილიპუჭური" და სხვ. ზაფხულის სიცხიან დღეებში ვერელები საღამოობით გადიოდნენ ფიქრის გორაზე. ვერის ბაღების წინ, საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე, იდგა ლურჯად შეღებილი პატარა დუქანი. მის აივანზე ყოველთვის წამოწოლილი იყო დუქნის პატრონი, შუახნის წვერიანი კაცი, რის გამოც ამ დუქანს „წვერიანის დუქანს" ეძახდნენ. როდესაც რუსეთისაკენ მიმავალი საფოსტო სადგურიდან გამოსული დილიჟანსი ამ დუქანს მიუახლოვდებოდა, წითელჩოხიანი სქელ-სქელი კონდუქტორი — ვანო ახმაურებდა თავის საყვირს. ნამძინარევი „წვერიანი" დადგებოდა დუქნის კარში, თეფშზე დაწყობილ ჭიქებს ღვინით შეავსებდა, მგზავრებს მიაწოდებდა და შესძახებდა: **„Не уезжай, голубчик мой!"** ასეთივე სიტყვები ამკობდა დუქნის ფირნიშსაც. შორეულ ქვეყანაში მიმავალი მგზავრები ხშირად ჩამოდიოდნენ ეტლიდან, შევიდოდნენ დუქანში და შეუკვეთავდნენ მწვადებს. მათ აღარ ესმოდათ კონდუქტორის საყვირის ხმა... მალე ისიცა და მეეტლეც ჩაებმებოდნენ საერთო ქეიფში.

დუქნის წინ კი დიდხანს იდგა დაცარიელებული დილიჟანსი...

# ბორჯომის ხეობის ძეგლები

გიორგი ზედგინიძე

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1500 წელზე მეტი ხნის წინათ ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე ინტენსიური ცხოვრება ყოფილა გაჩაღებული.

ჩვენამდე მოღწეულია, ერთის მხრივ VI-VII საუკუნეებში აშენებული მთელი რიგი ეკლესია-მონასტრების ნაშთები, მეორეს მხრივ: ლიკანის, თორის, საკოჭავის, საკირისა და დაბაძველის მიდამოებში შემორჩენილი მრავალრიცხოვანი დარბაზული ტიპის ნამოსახლარები. ბორჯომის ხეობაში ასეთი რიგის ნაგებობებია: ტაძრისის . სამხრეთ-აღმოსავლეთით გუჯრისხევის ეკლესია, სოფელ ლიკანის ჩრდილოეთით 2 კილომეტრზე მდებარე ეკლესია, ჩითახევის მწვანე მონასტერი, საკირის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ეკლესიის ნანგრევი, სოფელ ტაძრისის სამხრეთით მდებარე ეკლესია, სოფელ საკირის სამხრეთით ციხის გადაღმა არსებული ე. წ. „მიწის საყდარი“, სოფელ ახალდაბის დასავლეთით ფოთოლეთის ეკლესიისა და დაბა ბაკურიანის დასავლეთით პანტნარის ტაძრის ნანგრევები და სხვ. მათ შორის ყველაზე უძველესი უნდა იყოს გუჯრისხევის მონასტერი, რომელიც მდებარეობს სოფელ საკირიდან და ტაძრისიდან სამხრეთით 3 კილომეტრის მანძილზე, კოდიანის მთაში შეჭრილ ვიწრო ხეობაში, მდინარე გუჯრისხევის მარჯვენა ნაპირზე. თვითონ ტაძარი კლდოვან ბორცვზეა აგებული. შიგნით დაცულია სხვა ნაგებობათა ნანგრევები და ძმათა სასაფლაოები. ნაგებობათა ნაშთები უხვად არის მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ამავე მხარეს, მაღალ კლდეზე მიშენებულია მცირე საკანი, რომელში ასვლაც მხოლოდ თოკით შეიძლება (კლდის ძირიდან 3 მეტრით არის დაცილებული); იგი თითქმის მთლიანად არის დაცული, მხოლოდ სამხრეთის ეკლესიის თაღი, შუა კარების ადგილზე ჩამონგრეულია.

თავიანთი საამშენებლო ტექნიკის თუ ნაგებობის ტიპის მიხედვით გუჯრისხევის მონასტრის ანალოგიურია ზემოთ დასახელებული: ლიკანის, ჩითახევის, საკირის და ტაძრისის მონასტრები.

სამონასტრო მშენებლობა ბორჯომის ხეობაში შემდეგაც არ შეწყვეტილა, დასახელებული მონასტრების შემდეგ უნდა იყოს აგებული ქვაბისხევის „მარიამწმიდისა“ და საკირის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2,5 კილომეტრზე მდებარე „სხნალარიის“ (მსხალნარის) მონასტრები.

ორივე მონასტერი მცირე მოცულობისაა (8×8 მეტრი, დასავლეთის მინაშენით 10×8 მეტრი) და სამეკლესიან ბაზილიკის გადაკეთებას წარმოადგენენ. მათ საშუალო ადგილი უკავიათ სამეკლესიან და სამნავიან ბაზილიკებს შორის. ორივე მათგანში, თუ სამხრეთ და ჩრდილო ეკლესიების აღმოსავლეთ ნაწილები კედლებით იყოფა ცენტრალურ ეკლესიისაგან და ცალკე სათავსოებს ქმნიან, სამაგიეროდ დასავლეთის ნაწილები ოთხკუთხედ სვეტებზე დაყრდნობილი ორმაგი თაღებით არის გამოყოფილი. სარკმლები უფრო დიდრონი აქვს, რის შედეგად ეკლესია უკეთ ყოფილა განათებული. თაღები და სვეტები, კარები და სარკმლები უკეთესად გათლილი ქვებით არის ნაგები, ვიდრე ეს პირველი ჯგუფის (გუჯრისხევი და სხვა) ნაგებობებში გვაქვს. ქვაბისხევის „მარიამ წმინდა და საკირის „ხსნალარ“ VII საუკუნისა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, VIII საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეკლესიების ანალოგიურ ნაგებობას, უფრო სწორად მათ შემდგომ გადაკეთება-გაუმჯობესებას წარმოადგენენ დვირის, რკინიგზის სადგურის ზემოთ (სამხრეთით) 150-200 მეტრზე მდებარე კვირიკეწმიდის მონასტრის და ახალდაბის სამხრეთით ნეძვის მონასტრის ეკლესიები.

ბორჯომის ხეობას შემდეგ საუკუნეებშიც არა ერთი მონასტერი შემატებია, როგორიც არის „კიმოთესუბანი“, რომელიც XII-XIII საუკ. აგებული, დაბა — XIV საუკ. და სხვა.

მრავალი ამ ძეგლთაგანი დაღუპვის პირამდეა მისული: გუჯრისხევის ეკლესიას თავს გადავლებია ტყე, მის სახურავზე აღმართული ხეები შლიან ძეგლს და დანგრევამდე მიჰყავთ. კვირიკეწმიდის ცენტრალური ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე დაცულ შესანიშნავ ფრესკებს სახურავის ჩამონგრევის გამო, მზე, წვიმა და თოვლი თანდათანობით შლის, დღეს თუ ხვალ წარხოცავს. განადგურების პირამდეა მისული დიდებული ნეძვი. არა ნაკლებ დღეშია ფოთოლეთი, ხსნალარია, მიწის საყდარი. უნდა ვიხსნათ ისინი განადგურებისაგან.

საჯარო ბიბლიოთეკა

1785

# განუყრელი მეგობრები

ისინი ერთად შეიყვანეს საშუალო სკოლაში. ცოცხალ ბიჭუნებს ერთმანეთი მოეწონათ და ერთ მერხზე მოკალათდნენ. ასე ერთად ისხდნენ საშუალო სკოლის დამთავრებამდე. ერთად ჩაირიცხნენ მოცეკვავეთა წრეში, რომელსაც კოტე ჩივაძე ხელმძღვანელობდა. გამოცდილი პედაგოგის თვალს არ გამოეპარა ეს ორი სხარტი ბიჭუნა, რომლებიც საოცრად სწრაფად ითვისებდნენ ქართული ცეკვის ურთულეს ილეთებს.

ასე დამეგობრდნენ ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრის სოლისტები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კოტე ლოლაძე და გიორგი პატარაია.

1936 წელს, მერვეკლასელი ბიჭუნები, რესპუბლიკური ოლიმპიადის პრიზიორები გახდნენ. აქ ისინი პირველად ნახა ცნობილმა მოცეკვავემ ილიკო სუხიშვილმა, რომელიც ნინო რამიშვილთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფს ამზადებდა ქართული ხელოვნების და ლიტერატურის პირველი დეკადისათვის. მან მეგობრები მოცეკვავეთა ჯგუფში ჩარიცხა და არც შემცდარა.

1939 წელს სუხიშვილმა, საბჭოთა კავშირის წითელი არმიის სახელგანთქმული ანსამბლის ხელმძღვანელის ალექსანდროვის მოწვევით, ქართული ცეკვის შემსრულებელთა ჯგუფი ჩამოაყალიბა. ჯგუფში კოტე და გიორგიც ჩარიცხეს.

იმავე წელს წითელარმიელთა ანსამბლი საგასტროლოდ ამერიკაში გაემგზავრა. ლონდონის ნავსადგურში მას მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო. ნავსადგურის მუშაკთა და მცხოვრებთა თხოვნით ანსამბლმა რამდენიმე კონცერტი მოაწყო. სცენას გემბანი წარმოადგენდა, ხოლო მაყურებელთა დარბაზს სანაპირო და ახლო მდგომ გემების ანძები და გემბანები. ასეთ უჩვეულო პირობებში მოუხდათ მეგობრებს პირველი გამოსვლა საზღვარგარეთ.



1940 წელს მეგობრები ჯარში გაიწვიეს. ისინი აქაც არ დაშორდნენ ერთმანეთს და ერთად ჩაირიცხნენ წითელ არმიელთა ერთ-ერთ ანსამბლში, რომელიც კონცერტებს აწყობდა არმიის ნაწილებში.

1941 წ. მეგობრებისათვის დაიწყო ნამდვილი ფრონტული ცხოვრება. კონცერტების ჩატარება უშუალოდ საჰაერო თავდასხმისა და საარტილერიო კანონადის არეში უხდებოდათ.

1944 წელს ჯარიდან დემობილიზებული მეგობრები ჩარიცხეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტებად. ახალგაზრდები გულმოდგინედ სწავლობდნენ კლასიკურ ცეკვებსაც; აღსანიშნავია კ. ლოლაძის მიერ შესრულებული მასხარა (ჩაიკოვსკის „გედის ტბა“), ნურალი (ასაფიევის „ბახჩისარაიის შადრევანი“), სატირი (ჰუნოს „ფაუსტი“), და სხვა. გ. პატარაიას უფრო სახასიათო როლები ემარჯვება: სანჩო პანსა (მინკუსის „დონკიხოტი“), დენდი (გლიერის „წითელი ყაყაჩო“) და სხვა.

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის მიერ ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გაერთიანდნენ საუკეთესო მოცეკვავენი, მათ შორის იყვნენ გიორგი და კოტეც. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ანსამბლის დამფუძნებლები არიან.

1947 წელს ისინი პრაღაში გამართულ ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე წარგზავნეს. ფესტივალის ჟიურიმ მეგობრები სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვა.

ასევე წარმატებით გამოდიოდნენ ისინი 1949 წელს ბუდაპეშტში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტების მეორე საერთაშორისო ფესტივალზე.

1954 წელს, ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით, ფინეთში ჩავიდა საბჭოთა მსახიობების ჯგუფი, რომელთა შორის კ. ლოლაძე და გ. პატარაიაც იყვნენ. ჯგუფმა კონცერტები გამართა ფინეთის 64 ქალაქსა და სოფელში, მათ ყველგან აღტაცებით ხვდებოდნენ. გაზეთი „მარიან ხამინა“ (ქ. ოლადი) წერდა: „ეს იყო სხვა საბალეტო ხელოვნება, ცოტაა ვთქვათ, რომ ეს ცეკვები გამოირჩევა თავისი ტემპერამენტით, ვირტუოზობით, მოქნილობით, რასაც ისინი კუნთების მოქმედებით აღწევენ. შეიძლება ითქვას, ვერაფერს მსგავსს ჩვენ ვერ მივაღწევთ ჩვენი ჩრდილოეთის ცისქვეშ“.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მეგობრებმა იმოგზაურეს ნორვეგიასა და ავლანეთში (1956 წ.), ფინეთში, ირანსა დ იტალიაში (1957), უნგრეთში, ნორვეგიასა და პოლონეთში (1958).

შარშან მათ მეორედ მიიღეს მონაწილეობა მოსკოვში გამართულ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში, რომლის დამთავრების შემდეგ მათ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების საპატიო წოდება მიენიჭათ.

აპოლონ მონიავა.



მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა

# წერილი რედაქციას

ა./წ. 22 ოქტომბრის ნომერში გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ბ. სილაგაძის სტატია სათაურით: „ისტორიულ ფაქტებს ღრმად უნდა ჩაკვირვება“.

ავტორს თავის ძირითად მიზნად დაუსახავს უარჰყოს ის მძიმე შედეგები, რაც ეგვიპტეში მამლუქთა საუკუნოვანი ბატონობის სისტემას სდევდა თან.

ამა თუ იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში განსაზღვრულ ქვეყანაში არსებული მმართველობის სისტემის, ან თუნდაც ცალკეული მმართველის საქმიანობის, ავ-კარგიანობის, პროგრესული ან რეგრესული ხასიათის ნათელყოფისას, მთავარ და აუცილებელ საზომს წარმოადგენს იმისი გათვალისწინება, თუ რა როლი შეასრულა მმართველობის აღებულმა სისტემამ ამ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში. თუ მან ხელი შეუწყო ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, ცხადია, მმართველობის ამგვარი სისტემა პროგრესული ყოფილა, ხოლო, თუ მან შებორკა და შეაფერხა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, უდავოა მისი რეგრესული ხასიათი.

სწორედ ეს არის, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ის ერთადერთი მეცნიერული საზომი, რომლითაც ხდება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული მმართველობის განსაზღვრული სისტემის ავ-კარგიანობის შეფასება. ამ საზომით უნდა გაშუქდეს, კერძოდ, ეგვიპტეში მამლუქთა ხანგრძლივი ბატონობის სისტემის ობიექტური ხასიათი.

მამლუქობა ეგვიპტეში როდი იყო მარტოოდენ მამლუქთა ის ლაშქარი, რომელმაც სძლია მონღოლებსა და ჯვაროსნებს და იხსნა ეს ქვეყანა მათი ამაოხრებელი შესევებისაგან; მამლუქობა ეგვიპტეში არც მარტოოდენ ალიბეგ დიდისა და ზოგიერთი სხვა მისი მსგავსი გამოჩენილი მამლუქი ბეგის ეპიზოდური ხასიათის ბატონობა იყო.

მამლუქთა ბატონობას ეგვიპტეში ეპოქალური ხასიათი ჰქონდა, რომელმაც დაახლოებით ექვს საუკუნეს გასტანა. მამლუქობა ეგვიპტეში ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული ბატონობის განსაზღვრულ სისტემას წარმოადგენდა. ამიტომ, ეგვიპტეში მამლუქობის საერთო შეფასებისას მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მამლუქთა ბატონობის სისტემის საერთო ხასიათს ენიჭება.

ეგვიპტეში მამლუქობა წარმოადგენდა იმგვარ გაბატონებულ ვიწრო სამხედრო ზედაფენას, რომელიც არაფრით არ იყო დაკავშირებული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებასთან და არც ზრუნავდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაზე. მამლუქთა ერთადერთ საზრუნავს შეადგენდა ის, რომ ეგვიპტის მწარმოებელი კლასების ძარცვა-გლეჯის გზით, რაც შეიძლება მეტი დოვლათი მოეხვეჭათ თავიანთი სამხედრო ძლიერებისა და ბატონობის განსამტკიცებლად ამ ქვეყანაში. მამლუქობის სისტემის ხანგრძლივმა არსებობამ დიდი ხნით შეაფერხა ეგვიპტის საწარმოო ძალთა განვითარება.

ცნობილი ფრანგი მეცნიერი კ. ფ. ვოლნეი, რომელმაც მე-18 საუკუნეში იმოგზაურა ეგვიპტეში, შემდეგნაირად აღწერს ეგვიპტეში გაბატონებულ მამლუქთა საქმიანობას: „მათს (მამლუქების) მთელ საზრუნავს მარტოოდენ ის შეადგენს, რომ მოიხვეჭონ თავიანთთვის ფული; ხოლო, საშუალება, რომელსაც ისინი ამ მიზნის მისაღწევად მიმართავენ, მეტად უბრალოა — სადაც კი დაიგულებენ, ფულს იქა შოულობენ; ძალდატანებით ართმევენ ფულს მათ, ვისაც იგი გააჩნია, ანდა განუწყვეტლივ აწესებენ თვითნებურ საბაჟო გადასახადებს საქონელზე და ბეგრავენ სოფელს ახალ-ახალი გადასახადებით“ (იხ. კ. ფ. ვოლნეი, მოგზაურობა სირიასა და ეგვიპტეში. პ. 1891 წ. გვ. 175-176).

არსებითად, მარტოოდენ მამლუქთა ბატონობის სისტემის მოსპობის შემდეგ, მე-19 საუკუნის ოციან წლებში, გაეხსნა გზა ეგვიპტეს ქვეყნის საწარმოო ძალთა თავისუფალი განვითარებისათვის. რადგანაც მამლუქობა ეგვიპტეში აღმოსავლური ბატონობის სწორედ ისეთ ფორმას წარმოადგენდა, რომლის შესახებაც ფ. **ენგელსი** წერდა: „...ყოველგვარი აღმოსავლური ბატონობა შეუთავსებელია კაპიტალისტურ წყობასთან. მიღებული ზედმეტი ღირებულება არაფრით არ არის დაცული სატრაპთა და ფაშათა მტაცებლური ხელისაგან; არ არსებობს ბურჟუაზიული მოხმარების პირველი ძირითადი პირობა — ვაჭრის პიროვნებისა და მისი საკუთრების უშიშროების უზრუნველყოფა“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XVI, ნაწ. II, გვ. 22).

სტატიის ავტორი ამაოდ ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ თითქოს: „ყველა, ვინც ეგვიპტესა და ერაყში მამლუქთა ბატონობას შეხებია, ერთსულოვნად აღიარებს იმ უდიდეს როლს, რაც მამლუქებმა შეასრულეს ამ ქვეყნების თავდაცვითი, ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეშიო“ (იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22. 10. 59 წ.).

საკმარისია მივმართოთ მათ, ვინც, „ერთსულოვნად აღიარებს მამლუქთა უდიდეს როლს“ ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში, რომ სავსებით ნათელი გახდება მსგავსი განცხადების, რბილად რომ ვთქვათ, დეკლარაციული ხასიათი. მაგალითად, ორი თანამედროვე ეგვიპტელი პროგრესული მეცნიერი წერს: „იმის გამო, რომ მამლუქთა ეპოქაში ტახტის მემკვიდრეობის პრინციპს არ იცავდნენ, ხელისუფლების სათავეში ახალი სულთნის ჩადგომას მუდამ თან სდევდნენ საშინაო ომები და შუღლიანობა, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ეგვიპტის მთელს ცხოვრებაზე“ (იხ. რაშიდ ალ-ბარავისა და მუჰამედ ჰამზა ულეიშის კოლექტიური ნაშრომი: „ეგვიპტის ეკონომიური განვითარება ახალ ხანაში“, 1954 წ. გვ. 13).

„გამუდმებულ შუღლსა და შფოთიანობას, რომელმაც მოიცვა ეგვიპტე, კაიროში ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო, და ამ უკანასკნელის მიერ მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების უგულებელყოფას, აგრეთვე, გავლენას მამლუქებისას, რომელნიც არ იყვნენ დაკავშირებულნი ეგვიპტესთან არც მამულიშვილობითა და არც საერთო ინტერესებით, არ შეეძლო, რა თქმა უნდა, არ მოეხდინა გავლენა ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობაზე. გლეხი ხედავდა, რომ მისი დამქანცავი შრომის ნაყოფით ბატონი სარგებლობდა, რის გამოც იგი აღარ იყო მატერიალურად დაინტერესებული მეურნეობის წარმოებაში და ამიტომ ნაკლებად ზრუნავდა მასზე. ყოველივე ამის გამო ქვეყანა ეპიდემიურმა სნეულებებმა და შიმშილიანობამ მოიცვეს, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიური დაძაბუნება, უვიცობა და სიღატაკე... უზომო გადასახადებით გასრესილი და სხვადასხვა შეზღუდვათა ქსელში მოქცეული საქალაქო მრეწველობა დაქვეითებას განიცდიდა... ეკონომიურ დაქვეითებას შედეგად მოჰყვა ეგვიპტის მოსახლეობის რიცხვის შემცირება. ეგვიპტეში ფრანგთა ლაშქრობის წინ, მე-18 საუკუნის დასასრულს, ქვეყნის მოსახლეობა 2,5 მილიონს არ აღემატებოდა, თუმცა შუა საუკუნეებში იგი 5-6 მილიონს შეადგენდა“ (იქვე, გვ. 15).

„მამლუქთა ეპოქისათვის დამახასიათებელმა შფოთიანობამ და არეულობამ... დამღუპველი გავლენა იქონია მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ადრე გატარებულ ღონისძიებებზე... ვაჭრობის განვითარებას მეტად აფერხებდა მრავალნაირი გადასახადი... ფინანსიურ სისტემაში სუფევდა თვითნებობა და უწესრიგობა“ (იქვე, გვ. 30).

მივმართოთ ახლა თანამედროვე არაბ მეცნიერს შ. ისავის, თავის ეკონომიურ ნარკვევში: „ეგვიპტე მე-20 საუკუნის შუა ხანებში“, 1958 წ., ეხება რა ეგვიპტეში მამლუქთა ბატონობის ხანას, იგი წერს:

„...ეგვიპტეს ჩაგრავდა და ექსპლოატაციას უწევდა (როდი შეიძლება ითქვას, რომ მას მართავდა), ათი ათასამდე წარმოშობით ქართველი და ჩერქეზი მამლუქი, რომელნიც ძლივს ფლობდნენ არაბულ ენას, ხოლო ეგვიპტეს შეჰყურებდნენ, როგორც უზარმაზარ ბეღელს, საიდანაც მათ საჭიროდ მიაჩნდათ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიეღოთ“ (იხ. შ. ისავის დასახ. ნაშრ. გვ. 60).

იგივე ავტორი წერს: „აიუბელთა დინასტიას მოჰყვა ჩერქეზ და შუა აზიელ ტყვეთა პრეტორიანული გვარდიის — მამლუქთა ბატონობა, რომელნიც თავის რასობრივ ინდივიდუალობას იმის წყალობით ინარჩუნებდნენ, რომ განუწყვეტლივ ავსებდნენ თავიანთ რაზმებს საქართველოდან გაყვანილი ახალ-ახალი წყება ჭაბუკებით“ (იქვე, გვ. 33).

შ. ისავი შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს: „ეგვიპტე — ყველაზე უფრო სიცოცხლის უნარიანი არაბული ქვეყანა, გადაქცეული იყო მილიტარიზებულ ფეოდალურ სახელმწიფოდ, რომელსაც წარმოშობით ქართველი და შუააზიელი მკაცრი მამლუქები განაგებდნენ. ფატიმელთა და ადრინდელ აიუბელთა ხანაში არსებული ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატი შესცვალა გაბატონებულმა სამხედრო ჯგუფმა, რომელიც თავის ლაშქარს საკუთარი სამფლობელოებიდან მიღებული შემოსავლით ინახავდა. გაჰქრა თავის დროზე ფართოდ გავრცელებული კერძო მიწისმფლობელობა. უშიშროების უზრუნველყოფის არარსებობამ, ამასთან ერთად მამლუქთა მექრთამეობამ და უსულგულობამ, გამოიწვიეს დამუშავებული მიწის ფართობისა და მოსახლეობის სწრაფი შემცირება. საშინაო და საგარეო ბაზრების დიდი რაოდენობის დაკარგვასთან ერთად სწრაფ დაქვეითებას განიცდიდა მრეწველობა“ (იქვე, გვ. 45).

არაბული სამყაროს მეცნიერთა, მწერალთა, საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწერებიდან თამამად შეიძლება ეგვიპტეში მამლუქთა ბატონობის ეპოქის ანალოგიური შეფასების კიდევ არა ერთი მაგალითის მოტანა. მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც სავსებით საკმარისია ბ. სილაგაძის ზემოთ აღნიშნული განცხადების დეკლარაციული ხასიათის ნათელსაყოფად. ნათელსაყოფად იმისა, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა ეგვიპტეში მამლუქთა საუკუნოვანმა ბატონობამ ამ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას.

ვიმეორებთ: — ქართველ და ეგვიპტელ ხალხთა სოციალურ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, ფეოდალური ძალმომრეობისა და თვითნებობის ეპოქაში, მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოქმნილი მამლუქობა იმ ორმხრივად ბასრ შუბს წარმოადგენდა, რომლის ერთი წვერი ქართველი ხალხის გულსა ჰგმირავდა, ხოლო მეორე წვერი — ეგვიპტელი ხალხისას (იხ. „დროშა“, № 8, 1959 წ. გვ. 18).

დიახ, ისტორიულ ფაქტებს ღრმა ჩაკვირვებაცა სჭირდება და **ობიექტური** შეფასებაც. მით უმეტეს დღეს, როდესაც აზიისა და აფრიკის მრავალმილიონიანი ხალხები, მათ შორის არაბებიც, განთავისუფლდნენ უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობისაგან და ეროვნული აღორძინების გზას დაადგნენ.

**შოთა კურდღელაშვილი**,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ახალი წიგნები

### ჰიპარიონების ისტორია




საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიან ცხოველთა განყოფილების გამგის ლეონიდ გაბუნიას ვრცელი მონოგრაფია „ჰიპარიონების ისტორიისათვის“.

ჰიპარიონები—თანამედროვე ცხენების წინაპრები—საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნეოგენურ ნალექებში მრავლადაა ნაპოვნი, რაც საშუალებას იძლევა დარვინიზმის ბევრი პრობლემის გაშუქებისათვის. შრომის ავტორმა არა მარტო აღწერა და შეისწავლა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ოდესის, ბაქოსა და თბილისის მუზეუმებსა და საკვლევ ინსტიტუტებში დაცული 9.000-ზე მეტი ჰიპარიონის ნამარხი ძვალი და კბილი, არამედ წლების განმავლობაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას ჰიპარიონების ნამარხთა შესწავლაში, რისთვისაც მოიარა მოლდავეთის (ბრაილა, ტუდოროვო), უკრაინის (გრებენიკი, ჩობრუჩი) და საქართველოს (ელდარი, უდაბნო, ქისათიბი, არკნეთი) ადგილსაპოვრისები.

ამ ვრცელი მასალის განხილვის საფუძველზე მონოგრაფიაში გაშუქებულია ევროპის, აზიის, აფრიკის და ჩრდილოეთ ამერიკის ნეოგენური ნალექების პარალელიზაციის საკითხები და დარვინიზმის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემები.

### გო მო ჟოს პოემის გმირი

1954 წლის ივნისში ჩვენს დედაქალაქს ეწვია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის საგანგებო სესიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. სტუმრებს შორის იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის გო მო ჟოს მეთაურობით.

ძვირფასი სტუმარი მოხიბლა საქართველოს თვალწარმტაცმა ბუნებამ, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობამ. გო მო ჟო დაინტერესდა თუ რომელი საუკუნიდან არის დამწერლობა საქართველოში. ქართული კულტურის მოღვაწეებთან საუბარში მას უთქვამს, რომ იცნობს, შ. რუსთაველის გენიალურ ქმნილებას, ვაჟას „გველისმჭამელს“, გაცნობია ნ. ბარათაშვილის პოეზიას. დიდი სურვილი მაქვს მომავალში ჩინელებს გავაცნო ბარათაშვილის ლექსებიო — უთქვამს მას.

ზაფხულის ცხელი დღეები გო მო ჟომ შავი ზღვის სანაპიროზე გაატარა. კურორტ გაგრაში მან გაიცნო 6 წლის გოგონა თბილისელი მანანა ამაშუკელი, რომელიც მშობლებთან ერთად იქ ისვენებდა. ძალიან დამეგობრდნენ გო მო ჟო და პაწია მანანა.

—ნი ხაო! — გამარჯობა! ჩინურ-ქართულად ესალმებოდნენ ისინი ერთმანეთს.

გო მო ჟოს თან ახლდა ქალთა სრულიად ჩინეთის ფედერაციის წარმომადგენელი ექიმი ლუი ძოი. მან გო მო ჟოსა და მანანას გადაუღო სურათი, რომელსაც თქვენ ხედავთ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გო მო ჟომ წერილი გამოუგზავნა მანანას:

„სალამი ჩემს პატარა მეგობარს მანანას! როგორ ცხოვრობ? ჩვენ მშვიდობით დავბრუნდით ჩინეთში. გიგზავნი ფოტოს, რომელიც ლუი ძოიმ გადაიღო. ჩინელი ბავშვები გულითად მოკითხვას გითვლიან. მომიკითხე დედა და მამა. ნახვამდის. შენი მეგობარი გო მო ჟო“. წერილი დათარიღებულია 1954 წლის ივლისით.

1955 წლის თებერვალში საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის სახელზე გო მო ჟომ გამოგზავნა ჩინური ლიტერატურული ჟურნალი, სადაც დაბეჭდილი იყო მისი პოემა „მანანა“.

ახლა მანანა მოიზარდა. იგი თბილისის კომენსკის სახელობის ოცდამეოთხე საშუალო სკოლის მეოთხე კლასში სწავლობს.



### მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები



საყოველთაოდ ცნობილია თუ რა არნახული მასშტაბებით წარმოებს საბჭოთა კავშირში მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნა და გამოცემა. თავის ახლახან გამოსულ წიგნში, ცნობილმა ინგლისური ლიტერატურის ქართულად მთარგმნელმა გივი გაჩეჩილაძემ მოუყარა თავი რეალისტური თარგმნის ძირითად მეთოდოლოგიურ საკითხებს. წიგნი შედგება ოთხ ნაწილისაგან: „მხატვრული თარგმნის ისტორიისათვის საქართველოში“, „რეალისტური თარგმნის პრობლემა“, „პროზაული თარგმანი“ და „პოეტური თარგმანი“. ავტორს მიზნად დაუსახავს თეორიულად დაასაბუთოს, რომ „თარგმანი რეალური მხატვრული ფაქტია და მისი შექმნის პროცესი მხატვრული შემოქმედების პროცესია“, ამ დებულებას იგი ასაბუთებს ქართველ მთარგმნელების და მათ შორის თვით ავტორის მიერ დაგროვილ დიდძალ მასალის საფუძველზე. ავტორმა პირველად მოუყარა თავი მხატვრულ თარგმნის ფაქტებს და მოგვცა მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო და შინაარსიანი ნარკვევი ქართულად თარგმნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა.

ნაწილში „რეალისტური თარგმნის პრობლემა“ — ავტორი აყენებს მხატვრული თარგმნის რაობის საკითხს და ძირითადად აძლევს პასუხს ორ კითხვაზე — შესაძლებელია თუ არა მხატვრული თარგმნის არსებობა, საჭიროა თუ არა მხატვრული თარგმნის თეორია და როგორი უნდა იყოს იგი? — წიგნის დანარჩენი ორი ნაწილი ვრცლად განიხილავს პროზისა და პოეზიის თარგმნის თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებს.

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ მთარგმნელებს, მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და ხელს შეუწყობს ქართული თარგმნილი ლიტერატურის შემდგომ გაუმჯობესებას.

### ქართველი გეოლოგის წიგნი ჩინურად

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართოდაა გაშლილი სასარგებლო ნამარხთა ახალი საბადოების გეოლოგიური კვლევა-ძიება.

ამ სამუშაოთა სწორად წარსამართავად ჩინელი გეოლოგები მიმართავენ საბჭოთა მეცნიერთა დიდ გამოცდილებას. ამას წინათ ჩინურად ითარგმნა და პეკინში გამოიცა დოცენტ გრიგოლ ავალიანის წიგნი „მარგანეცი“, რომელიც საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1953 წელს გამოვიდა და მას შემდეგ საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

წიგნი წარმოადგენს ორიგინალურ სახელმძღვანელოს გეოლოგებისათვის, რომლებიც პირველად ხვდებიან მარგანეცის საბადოების შესწავლის და შეფასების საკითხებს, ამიტომ დიდი ადგილი დათმობილი აქვს გეოლოგიური კვლევის მეთოდიკას და მარგანეცის საბადოების სამრეწველო შეფასებას. წიგნი დაწერილია ავტორის მიერ საბჭოთა კავშირში შავი ქვის საბადოების კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული ვრცელი მასალის მოშველიებით და უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს ჩინეთის ახალგაზრდა გეოლოგიურ მეცნიერებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღიმილი



* * *

პაციენტი ექიმს ნერვიულობას შესჩივის:

— ეს ვერაა კარგი, მაგრამ ამასაც ეშველება; თავს ძალა უნდა დაატანოთ და მთლიანად ჩაეფლოთ თქვენს სამუშაოში.

— ღვთის გულისათვის ექიმო, ეს როგორ შეიძლება, მე ხომ ბეტონის მზელავი ვარ?!

* * *

ქმარი საბაზანოში წვერს იპარსავს და თანაც მაგრად იგინება.

— აგრე რამ გაგაჯავრა, ჩემო კარგო? — ეკითხება მას მეუღლე.

— მოდი და ნუ გაჯავრდები, როცა სამართებელი წვერს არ ჭრის!

— სისულელეს ნუ ამბობ, — მიუგო ცოლმა. — განა შენი წვერი ლინოლეუმზე მაგარია?

* * *

— ჩემს ახალგაზრდობაში, — ამბობს მანდილოსანი, — ტრამვაის კონდუქტორები უფრო თავაზიანები იყვნენ.

— კი მაგრამ, ნუთუ ტრამვაი მაშინ გამოგონილი იყო?

* * *

— სტადიონზე აურ-ზაური ატყდა.

— რას ერჩის ეს ხალხი ამ საწყალ კაცს?

— მან მსაჯს ქვა ესროლა.

— კი მაგრამ, ქვა ხომ არ მოხვედრია მსაჯს?

— აი სწორედ მაგისათვის სცემენ!

* * *

მშობლები საკონცერტო დარბაზში სხედან და სულგანაბული უსმენენ ჩელოზე დამკვრელს. პატარა, ექვსი წლის კლოდინეტი კი ვერ ისვენებს, იგი ჩურჩულით ეკითხება დედას:

— დედიკო, როცა ის ძია იმ ყუთს გადახერხავს, მაშინ ხომ წავალთ შინ?

* * *

ერთი პროვინციელი ფრანგი თავის ცოლთან ერთად ზის პარიზის დიდი ოპერის ლოჟაში. ანაზდად ცოლმა ქმარს დაანახვა პარტერში მჯდომი კაცი და გადაუჩურჩულა:

— შეხედე, ძვირფასო, აი ის კაცი ვიქტორ ჰიუგოა!

— ეს შეუძლებელია, — უპასუხა ქმარმა, — ვიქტორ ჰიუგო დიდი ხანია, რაც მოკვდა.

ცოლმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი პარტერში მჯდომს და ნიშნისმოგებით მიუგო ქმარს:

— კი, მაგრამ ხომ თვითონვე, ჰხედავ, რომ იგი მოძრაობს, მაშასადამე ცოცხალია.

* * *

რამდენიმე ხანია ერთ ბარში ტყუპი ძმები დადიან. ერთ საღამოს მათთან მივიდა ბარის პატრონი და მიმართა:

— ძალზე ვწუხვარ, მაგრამ უნდა დასტოვოთ ჩემი ბარი.

— რაშია საქმე? — შეეკითხნენ გაკვირვებული ტყუპები.

— თქვენი შემოსვლის შემდეგ სტუმრები მალე ტოვებენ ბარს, მათ ჰგონიათ, რომ უკვე დათვრნენ და ერთი ორად ეჩვენებათ.





თბილისში ჩატარდა სასოფლო-სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს 1959 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ცხენოსნობაში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ათკილომეტრიანმა მარულამ (მარცხენა სურათი), რომელშიც გაიმარჯვა და გაზეთ „თბილისის“ თასი მოიპოვა ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსირის საშუალო სკოლის VII კლასის მოწაფემ პეტრე სირიამ (მარჯვენა სურათი).



უტექსტო ხუმრობა გ. ფირცხალავასი

გარეკანის პირველ გვერდზე — კამარა — მეთხილამურე ოთარ გოცირიძე კოხტა-გორაზე.

გარეკანის მეოთხე გვერდზე — შემოდგომა ზუგდიდში.

ჩანართის პირველ და მეოთხე გვერდებზე — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მუშები: მრთველი ელენე კენკიშვილი და მქსოველი მერი მიქანაძე — გეგმას ასრულებენ 150-200%-ით.

ფერადი ფოტო გურამ თიკანაძისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | ჟურნალი გააფორმა ზ. ლეჟავამ. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-59 წ. გამომც. № 200. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23.150. შეკ. № 1401, უე 01699

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

1959 წელს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა კვლავ აღადგინა ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივის სახელი. დინამოელებმა პირველობის გათამაშებაში ყველაზე მეტი, 48 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში და მესამე, საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს. ჩვენი გუნდის ცენტრთავდამსხმელმა ზაურ კალოევმა კი პირველობის მონაწილე ფეხბურთელთა შორის ყველაზე მეტი ბურთის გატანისათვის (16) გაზეთ „ტრუდის“ სპეციალური პრიზი მოიპოვა. სურათზე თქვენ ხედავთ (ზევიდან ქვევით) შ. იამანიძის, ა. ღოღობერიძის, ზ. კალოევის და მ. მესხის გარღვევებს, რომლებიც ყველა გოლით დამთავრდა.









თბილისის „დინამოს“ ვეტერანები (მარცხნიდან მარჯვნივ) ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი, ედ. ნიკოლაიშვილი, ს. შუდრა და რ. გაგუა ინტერესით ადევნებენ თვალს თავიანთი სპორტული მომავლების თამაშს.

ბ-105/268
ელექტრონული
ბიბლიოთეკა

